პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 283 (10677) | პარასკევი 7 დეკემბერი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

მკვეთრად გავაღიდოთ რძის წარმოება

საერთო მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებაში გასულ სამეურნეო წელს საქართველოს სსრ მთელმა რიგმა რაიონებმა კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს. საერთოდ ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა საშუალოდ ერთ ძროხაზე მიიღეს 852 კილოგრამი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 850 კილოგრამისა.

რძის წარმოების გადიდების ინტერესები მოითხოვდნენ მიღწეულ წარმატებათა განმტკიცებას და მეცხოველეობაში ახალი სამეურნეო წლის დაწყებისთანავე შეუპოვარი ბრძოლის გაჩაღებას პროდუქტიულობის ამაღლებისათვის. მაგრამ მთელ რიგ რაიონებში თვითკმაყოფილებასა და თვითდამშვიდებას მიეცნენ, საძოვრული კვებიდან ბაგურ კვებაზე პირუტყვის გადაყვანას სათანადოდ მომზადებული ვერ შეხვდნენ. ძროხებს მოაკლდათ ნოყიერი კვება, რის გამო ახალი სამეურნეო წლის პირველ თვეში იკლო წველადობამ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

ახალი სამეურნეო წლის ოქტომბერში რესპუბლიკის კოლმეურნეობებში მიღებული იყო 6,6 ათასი ტონა რძე გასული წლის ოქტომბრის 7,3 ათასი ტონის ნაცვლად. ამასთან წველადობის დიდი შემცირება დაშვებულია მიმდინარე წლის სექტემბერთან შედარებით, სახელდობრ მიღებულია 6,5 ათასი ტონით ანუ 50,1 პროცენტით ნაკლები რძე.

შეუწყნარებელია ის, რომ საქართველოს სსრ 73 რაიონიდან 54 რაიონმა ახალი სამეურნეო წლის ოქტომბერში დაუშვა წველადობის შემცირება გასული წლის ოქტომბერთან შედარებით.

წველადობის ყველაზე მეტ შემცირებას ეხვდებით ვანის რაიონში — 51,9 პროცენტით, ჭიათურის რაიონში — 48,3 პროცენტით, ქარელის რაიონში — 42,9 პროცენტით, სოხუმის რაიონში — 40,7 პროცენტით და ქალაქ ფოთში — 52,9 პროცენტით.

გასული წლის ოქტომბერთან შედარებით წველადობის დაბალი მაჩვენებლები აქვთ წალკის, მარნეულის, თეთრი წყაროს, კაჩრეთის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის, ახმეტის, ზესტაფონის რაიონებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს და სხვ.

ეს სერიოზული ჩამორჩენა წველადობის საქმეში იმით აიხსნება, რომ მთელმა რიგმა პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა, რაისაბჭოების აღმასკომებმა შეასუსტეს ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა კოლმეურნეობებში, მეცხოველეობის ფერმებში, ძირშივე ვერ აღკვეთეს საქმის საზიანო განწყობილება — თვითდამშვიდება და თვითკმაყოფილება გასულ სამეურნეო წელს მიღწეული წარმატებების გამო. ამასთან ბევრი მტს-ის ხელმძღვანელს მხედველობის არედან გამოეპარა ისეთი არსებითი საკითხი, როგორიც არის წველადობის გადიდებისათვის ზრუნვა მთელი წლის მანძილზე.

კოლმეურნეობათა მეცხოველეობის ფერმებში წველადობის შემცირება იმის შედეგიც არის, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და მისმა დგილობრივმა ორგანოებმა ქმედითი ზომები ვერ განახორციელეს ფერმებში პირუტყვის ბაგური კვების სწორად მოწყობისათვის, საკმაო დახმარება ვერ გაუწიეს კოლმეურნეობებს ამ საქმეში.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა წინაშე დასახულია საბრძოლო ამოცანა — საქართველომ მთლიანად უზრუნველყოს თავისი თავი რძით. ეს ავალებს რესპუბლიკურ სამეურნეო ორგანიზაციებს, ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, მტს-ებსა და კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებს სათანადო დასკვნები გააკეთონ შექმნილი მდგომარეობიდან და რადიკალური ღონისძიებანი განახორციელონ წველადობაში ჩამორჩენის დაძლევისათვის, რძის წარმოების მკვეთრად ამაღლებისათვის.

დადგა ზამთარი. სოფლის კომუნისტების და ყველა მშრომელის წმიდათა-წმიდა ვალია სამეურნეო წლის პირველი თვეებიდანვე შეინარჩუნონ წველადობის წინანდელი ტემპი და არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან ზამთარში წველადობის შემცირება. პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა, რაისაბჭოების აღმასკომებმა, მტს-ებმა საფუძვლიანად უნდა შეისწავლონ ფერმებში წველადობის მდგომარეობა, დასახონ და განახორციელონ ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით კონკრეტული ღონისძიებანი საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობის ასამაღლებლად, აღკვეთონ უდარდელი, უპასუხისმგებლო დამოკიდებულება ამ საქმისადმი.

ჩვენში ყველა პირობა არსებობს რძის წარმოების გასადიდებლად. მოწინავეთა გამოცდილების შესწავლა მოწმობს, რომ კოლმეურნეობებს დიდი რეზერვები აქვთ პროდუქტიულობის გასადიდებლად. სადაც პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები სათავეში უდგანან ამ რეზერვების გამოყენების საქმეს და რაზმავენ მასებს მათ წინაშე მდგომი ამოცანების განსახორციელებლად, იქ შედეგსაც კარგს აღწევენ. მაგალითად, ბათუმის, ქობულეთის, წითელწყაროს, ზოგდანოვკის, საგარეჯოს, ცხაკაიას და სხვა რაიონებმა ახალი სამეურნეო წლის ოქტომბერში წველადობა გაადიდეს გასული წლის ოქტომბერთან შედარებით.

მისაბაძია მცხეთის რაიონის სოფელ წილკნის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის მუშაობის მაგალითი. ამ კოლმეურნეობამ გასულ სამეურნეო წელს ერთ საფურაქე ძროხაზე მიიღო 2.626 კილოგრამი რძე ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 1.080 კილოგრამისა. ოქტომბერში ერთ ძროხაზე მიიღეს 131 კილოგრამი რძე. მისმა მეზობელმა კოლმეურნეობებმა მიიღეს: ნატახტრისამ — მხოლოდ 36,3 კილოგრამი რძე, ძალისთამ — 36 კილოგრამი. როგორ აღწევენ წილკნელები მაღალი წველადობის მიღებას მთელი წლის განმავლობაში? უწინარეს ყოვლისა ზოოტექნიკურ ღონისძიებათა მთელი კომპლექსის განუხრელად განხორციელებით, შრომის სწორი ორგანიზაციით. აქ შექმნეს მტკიცე საკვები ბაზა, სადაც გადამწყვეტ როლს სიმინდის კულტურა ასრულებს. წილკნელები პირუტყვს ზამთარში უხვად კვებავენ წვნიანი, კონცენტრირებული და უხეში საკვებით. კვების მრავალფეროვანი ულუფა წველადობის გადიდების საფუძველია.

წილკნელ კოლმეურნეთა მაგალითი წველადობის განუწყვეტლივ, თანაზომიერად ზრდის საქმეში საყურადღებო და ფართოდ გავრცელების ღირსია.

ამხანაგო მეცხოველეებო! თქვენს ხელშია წველადობის გადიდების ბედი, გადაჭრით გააუმჯობესეთ პირუტყვის მოვლა, კვება, განუწყვეტლივ ზარდეთ სარძეო მეცხოველეობის პროდუქტიულობა, მთელი თქვენი მგზნებარებით გააჩაღეთ სოციალისტური შეჯიბრება რძის წარმოების მკვეთრად გადიდებისათვის.

საქართველოს მტს-ებმა შეასრულეს საგრაქტორო სამუშაოთა წლიური გეგმა

საქართველოს მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა სატრაქტორო სამუშაოთა წლიური გეგმა 101,9 პროცენტით შეასრულეს. შარშანდელთან შედარებით რბილ ხვნაზე გადაყვანით გამომუშავებულია 10 ათასი ჰექტარით მეტი. ულიანოვკის, შულავერის, გურჯაანის, მახარაძის, ველისციხის, წყალტუბოს და მთელმა რიგმა სხვა მტს-ებმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს მექანიზებულ სამუშაოთა გეგმები და 15-ძალიანი ტრაქტორის ყველაზე დიდ დატვირთვას მიაღწიეს.

მტს-ებმა გადაჭარბებით შეასრულეს მარცვლეული თავთავიანი კულტურებისა და მზესუმზირას მოსავლის აღების გეგმა და მნიშვნელოვნად გააფართოეს მექანიზებულ სამუშაოთა მოცულობა ჩაისა და ციტრუსოვანთა პლანტაციების, ვენახების, ხეხილის ბაღების მოვლაში.

მტს-ების მექანიზატორებმა დახმარება გაუწიეს კოლმეურნეობებს ჩაედოთ მთელი ხნის განმავლობაში ყველაზე მეტი სილოსი — 410 ათასი ტონა— 20 ათასი ტონით მეტი, ვიდრე შარშან, და შეასრულეს მილიონნახევრამდე სული ცხვრის ელექტროპარსვა.

რესპუბლიკის მტს-ებმა შეასრულეს საშემოდგომო თესვის გეგმა. ფართობის მეტი ნაწილი დათესილია ჯვარედინად და ვიწრო მწკრივებად. (საქდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

უზბეკეთის კპ ცენტრალურ კომიტეტსა და უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო დიდი კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ უზბეკეთის სსრ კოლმეურნეებმა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა, პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს მებამბეობის აღმავლობის საქმეში, ყველგან მოიყვანეს ბამბის უხვი მოსავალი, რამაც შესაძლებელი გახადა 1956 წელს წარმატებით შეესრულებინათ ნედლი ბამბის დამზადების გეგმა. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს ჩააბარეს 2.835 ათასი ტონა ნედლი ბამბა, ანუ 440 ათასი ტონით მეტი, ვიდრე ამ თარიღისათვის იყო ჩაბარებული 1955 წელს. ნედლი ბამბის 85 პროცენტზე მეტი მიღებულია პირველი ხარისხით.

ბამბის წარმოების გადიდების უმნიშვნელოვანესი პირობა ის იყო, რომ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უკანასკნელ ორ წელიწადში გაბედულად და მტკიცედ დანერგეს ბამბის თესვისა და მოვლის ახალი პროგრესული ხერხები. განვლილ წელს მთელ ფართობზე ბამბა ვიწრო მწკრივებად დაითესა. 800 ათას ჰექტარზე მეტ ფართობზე განხორციელდა მცენარეთა კვადრატულ-ბუდობრივი განლაგება, ამასთან ამ ნათესების 700 ათასზე მეტი ჰექტარი მექანიზებული წესით დამუშავდა ორი მიმართულებით. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ბამბის კრეფაში დიდი დახმარება გაუწიეს ქალაქის მშრომელებმა, სტუდენტებმა და მოსწავლეებმა.

რესპუბლიკამ აგრეთვე წარმატებით შეასრულა მარცვლეულის, მატყლის, კვერცხის, ბოსტნეულის, ყურძნის, კრავების ტყავებისა და აბრეშუმის პარკის დამზადებისა და შესყიდვის გეგმები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო კოლმეურნეებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, პარტიულ, საბჭოთა, სოფლის მეურნეობისა და კომკავშირულ მუშაკებს, ქალაქების მშრომელებს, სტუდენტებსა და მოსწავლეებს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ბამბის კრეფაში, ულოცავენ მოპოვებულ წარმატებებს და მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ ისინი კვლავაც ბეჯითად იმუშავებენ, რათა შეასრულონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივები ბამბისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდებაში და ამით ღირსეულ წვლილს შეიტანენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საყოველთაო-სახალხო საქმეში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი | **სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო**

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დიდი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, რომელიც კოლმეურნეებმა, მტს-ების, საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა და მეცნიერებმა, პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო მუშაკებმა გასწიეს საბჭოთა მებამბეობის განვითარების, ბამბის ახალი უხვმოსავლიანი და ხარისხით საუკეთესო ჯიშების გამოყვანის საქმეში, უდიდესი შრომისათვის, რომელიც გასწიეს მათ საირიგაციო ნაგებობათა მშენებლობაში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვაში, რის შედეგადაც შექმნილია ბამბის უხვი და მყარი მოსავლის მიღების პირობები, აგრეთვე 1956 წელს ბამბის დამზადების სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის **უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1956 წ. 5 დეკემბერი.

4 დეკემბრის დეპეშა თვითმფრინავიდან

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

ამხანაგ ნ. ა. ბულგანინს

გადავლახეთ რა სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვარი, სამშობლოში მიმავალთ თან მიგვაქვს რუმინელი ხალხისათვის საბჭოთა ხალხების ძმური სიყვარულის გრძნობა. ჩვენი ხალხი მარად მადლობელი იქნება საბჭოთა ხალხებისა, საბჭოთა კავშირის მთავრობისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისა მუდმივი დახმარებისათვის, რომელსაც იგი იღებს თავისი ახალი თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრების შექმნაში.

გთხოვთ მიიღოთ, ძვირფასო ამხანაგო ბულგანინ, რუმინეთის მთავრობის დელეგაციის სახელით მხურვალე სალამი საბჭოთა ხალხებისადმი და პირადად თქვენდამი.

დაე მარად ცოცხლობდეს საბჭოთა კავშირ-რუმინეთის მეგობრობა.

კივუ სტოიკა
რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

მოსკოვიდან გაემგზავრა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია

4 დეკემბერს მოსკოველებმა გულთბილად გააცილეს რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამ. კივუ სტოიკას მეთაურობით, რომელიც საბჭოთა დედაქალაქეს ეწვია სსრ კავშირის მთავრობის დელეგაციასთან მოლაპარაკების დასამთავრებლად.

ქალაქის მაგისტრალები, რომლებიც ვნუკოვოს აეროდრომისაკენ მიდიან, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით იყო მორთული. სადღესასწაულოდ გამოიყურებოდა აეროპორტის შენობა. მის ახლოს შეიკრიბა მოსკოვის მშრომელთა მრავალი წარმომადგენელი.

რუმინელი სტუმრები გააცილეს ამხანაგებმა ნ. ა. ბულგანინმა, ა. ი. მიკოიანმა, მ. ზ. საბუროვმა, დ. ტ. შეპილოვმა, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მ. ა. იასნოვმა, სსრ კავშირის მინისტრებმა და ცენტრალურ დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა, პრესის წარმომადგენლებმა.

გამცილებელთა შორის იყვნენ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში მიხაი დალია, რუმინეთის საელჩოს თანამშრომლები, მოსკოვში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები.

რუმინეთის მთავრობის დელეგაციის მეთაურმა ამხანაგმა კივუ სტოიკამ მიიღო საპატიო ყარაულის უფროსის პატაკი. ზეიმურად გაისმა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები. მივიდა რა მიკროფონთან, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ კივუ სტოიკამ წარმოთქვა სიტყვა. მან თქვა:

ძვირფასო ამხანაგო ბულგანინ!

ძვირფასო ამხანაგებო!

დიპლომატიური კორპუსის პატივცემულო წევრებო!

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის დელეგაციასთან ერთი კვირის მოლაპარაკების შემდეგ, რომელიც სრული წარმატებით დამთავრდა, დღეს ჩვენ ვტოვებთ ქალაქ მოსკოვს — დიდი საბჭოთა კავშირის დედაქალაქს.

მე მსურს მადლობა გადავუხადო სსრ კავშირის მთავრობის დელეგაციას ამხანაგ ბულგანინის მეთაურობით, ამხანაგებს მიკოიანსა და საბუროვს, აგრეთვე ამხანაგ მინისტრებსა და მათს თანამშრომლებს ძმური მიღებისათვის, მათი დაუცხრომელი შრომისათვის იმ მიზნით, რომ წარმატებით გადაგვეჭრა ყველა საკითხი, რომლებიც ჩვენმა დელეგაციებმა განიხილეს.

ჩვენ მხურვალე სალამს ვუთვლით მოსკოვის სტუმართმოყვარე მცხოვრებლებს, რომლებმაც გამოხატეს რუმინელი ხალხის მიმართ მეგობრობისა და სიმპათიის გრძნობები.

რუმინელი ხალხის სახელით ახალ დიდ წარმატებებს ვუსურვებთ საბჭოთა კავშირის მომძე ხალხებს.

გაუმარჯოს რუმინეთ-საბჭოთა კავშირის მარადიულ მეგობრობას!

რუმინეთის მთავრობის მეთაურის სიტყვის შემდეგ, რომელსაც დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ, ამხანაგებმა ნ. ა. ბულგანინმა, ა. ი. მიკოიანმა, მ. ზ. საბუროვმა, დ. ტ. შეპილოვმა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კივუ სტოიკა და რუმინეთის მთავრობის დელეგაციის სხვა წევრები მიაცილეს თვითმფრინავთან და ბედნიერი მგზავრობა უსურვეს რუმინელ ამხანაგებს.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის წევრებთან ერთად ბუქარესტში გაფრინდა სსრ კავშირის ელჩი რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში ა. ა. ეპიშევი. (საქდესი).

* * *

ბუქარესტი, 4 დეკემბერი (საქდესი). დღეს მოსკოვიდან ბუქარესტში დაბრუნდა რუმინეთის მთავრობის დელეგაცია მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის კივუ სტოიკას მეთაურობით, რომელიც მონაწილეობას იღებდა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციასთან მოლაპარაკებაში.

მოსკოვთან გერმანელთა ჯარების განადგურების 15 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება

ამ დღეებში ქალაქებსა და სოფლებში, ჯარის ნაწილებსა და ფლოტებში ეწყობა მოხსენებები, საუბრები და ლექციები უკვდავ გმირობაზე, რომელიც გამოიჩინეს ჯარისკაცებმა, სერჟანტებმა, ოფიცრებმა და გენერლებმა საბჭოთა დედაქალაქის დაცვის ბრძოლებში და მოსკოვთან ჰიტლერული ჯარების განადგურებაში.

5 დეკემბერს მოსკოვის ოფიცერთა საგარნიზონო სახლში შეიკრიბა დედაქალაქის გარნიზონის სამხედრო ნაწილების 700-ზე მეტი ჯარისკაცი, სერჟანტი, ზემდეგი და ოფიცერი. აქ გაიმართა მოსკოვთან გერმანელ ფაშისტთა განადგურების 15 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება.

კრება გახსნა მაიორმა მ. ვ. კოლიჩევმა. მოხსენება მოსკოვთან გერმანელ ფაშისტთა ჯარების განადგურების 15 წლისთავის შესახებ გააკეთა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა პოლკოვნიკმა ს. ი. როშჩინმა.

დიდი ყურადღებით მოისმინეს მოსკოვთან ისტორიული ბრძოლების მონაწილეთა — მე-16 არმიის სამხედრო საბჭოს ყოფილი წევრის გენერალ-მაიორ ა. ა. ლობაჩოვის, მწერალ ვ. კ. სოლოვიოვისა და სამსახურიდან გადამდგარი პოდპოლკოვნიკის გ. ს. ნიეგოროდცევის სიტყვები. მათ ილაპარაკეს კონტრშეტევისათვის ჩვენი ჯარების მომზადებასა და იმ ბრძოლებზე, რომლებმაც გადაწყვიტა მოსკოვთან საომარი მოქმედების შედეგი.

დასასრულ საზეიმო კრების მონაწილეებისათვის გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მოსკოვის თეატრების მსახიობებმა. (საქდესი).

ტყიბულჰესი უკვე გვაძლევს სამრეწველო დენს

ჩვენი რესპუბლიკის ენერგეტიკულ სისტემას ყოველწლიურად ემატება ახალი ათიოდე წლის განმავლობაში ამუშავდა ისეთი მძლავრი, ტექნიკის უკანასკნელ მიღწევათა მიხედვით მოწყობილი ჰიდროელექტროსადგურები, როგორიც არიან ხრამჰესი, სოხუმჰესი, ჩითახევჰესი, სამგორის ჰიდროელექტროსადგურთა კასკადი, ორთაჭალჰესი. დიდი ხანი არ არის, რაც მათს წყებას შეემატა ბუჟუჰესი, შაორჰესი, გუმათის მეორე ჰიდროელექტროსადგური.

ამ დღეებში საქართველოს ჰიდროენერგოშენებლებმა მორიგი შრომითი გამარჯვება მოიპოვეს, მოქმედ ჰიდროელექტროსადგურთა მწყობრში ჩააყენეს ახალი მძლავრი ობიექტი — ტყიბულჰესი, რომლის ერთ-ერთმა აგრეგატმა უკვე მოგვცა სამრეწველო დენი.

ტყიბულჰესის ამუშავების შესახებ საქართველოს ჰიდროენერგოშენის ტრესტის მმართველმა ამხ. ვ. ჭანკოტაძემ ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

— ტყიბულჰესი მაღალი წნევის ჰიდროელექტროსადგურია. მისი სიმძლავრე პირველი ხრამჰესის გარდა ჩვენი რესპუბლიკის ყველა სხვა ჰიდროელექტროსადგურის სიმძლავრეს აღემატება. ამ სადგურის ამუშავებას და მოქმედ ენერგეტიკულ სისტემაში მის ჩართვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ელექტროენერგიის საერთო გამომუშავების თვალსაზრისით, არამედ იმითაც, რომ ტყიბულჰესი მარეგულირებელი ჰიდროელექტროსადგურია, მას შეუძლია სეზონურად მომუშავე ჰიდროელექტროსადგურებზე ელექტროენერგიის გამომუშავების დეფიციტის დაფარვა წყალსიმცირის პერიოდში. ტყიბულჰესს აქვს დიდი მოცულობის წყალსაცავი, რაც საშუალებას გვაძლევს ყოველ საჭირო მომენტში ავამუშაოთ სადგურის ყველა ტურბინ-გენერატორი, ე. ი. მთელი სიმძლავრით ავამუშაოთ ჰიდროელექტროსადგური.

ტყიბულჰესის წყალსაცავის შესაქმნელად აგებულ იქნა მიწაყრილის კაშხალი, რომლის ასაშენებლად მოგვიხდა დიდი მოცულობის სამუშაოთა შესრულება — კაშხალის ტანში ჩაწყობილ იქნა 1.300.000 კუბმეტრი მიწა. ეს კაშხალი მიწაყრილის პირველი დიდი კაშხალია ჩვენს რესპუბლიკაში.

დიდი მოცულობის სამუშაოები შესრულდა აგრეთვე სედერივაციო გვირაბის გასაყვანად.

ტყიბულჰესზე პირველად იქნა განხორციელებული დახრილი გვირაბის გაყვანა მიწისქვეშა საწნევი მილსადენისათვის. მშენებლებმა წარმატებით გადალახეს გვირაბის დახრილად გაყვანასთან დაკავშირებული ტექნიკური სიძნელეები და ვადაზე დაამთავრეს დახრის უბანზე გვირაბში 3 ათასი ტონა ლითონის მილების ჩაწყობა.

კარგა ხანია მშენებლებმა და მემონტაჟეებმა დაამთავრეს თავიანთი საქმე, გაამზადეს სადგურის ოთხივე აგრეგატი გამოსაცდელად. 1 დეკემბერს დაიწყო ერთ-ერთი მათგანის — № 2 აგრეგატის გამოცდა. 72 საათის მუშაობის შემდეგ აგრეგატი საექსპლოატაციოდ გადაეცა ენერგოსისტემას. ამჟამად წარმოებს № 1 აგრეგატის გამოცდა. უახლოეს ორ-სამ დღეში შეუდგებიან მესამე აგრეგატის, ხოლო შემდეგ მეოთხე აგრეგატის გამოცდას. შემდეგ კი ჰიდროელექტროსადგური სრული სიმძლავრით დაიწყებს მუშაობას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საექსპლოატაციოდ გადაცემის წინ საგენერატორო შენობა მთლიანად დამთავრებულია, რაც საქართველოს ჰიდროენერგოშენებლობის პრაქტიკაში პირველი შემთხვევაა.

აღსანიშნავია, რომ ტყიბულჰესის მშენებელთა კოლექტივმა (უფროსი ვ. ყაველაშვილი, მთავარი ინჟინერი ი. მღებრიშვილი) წარმატებით და ახლებურად გადაჭრა მის წინაშე წამოჭრილი მთელი რიგი ტექნიკური საკითხები და ვადაზე დაამთავრა მშენებლობა. ამაში განსაკუთრებით დიდი დამსახურება მიუძღვით უბნის უფროსებს მ. ურუშაძეს, ვ. მაჭავარიანს, ა. უგრეხელიძეს, დ. ორჯონიკიძეს, მ. ჭელიძეს, სპეცჰიდრომონტაჟის უბნის უფროსს ე. კოსარევს, ელექტრომონტაჟის ხელმძღვანელს უფროს სამუშაოთა მწარმოებელს გ. ქუთათელაძეს და სხვებს.

ტყიბულჰესის მშენებელთა კოლექტივი მზად არის ზოგიერთი დარჩენილი სამუშაოს დამთავრებისთანავე გადავიდეს მომდინარე ხუთწლედის სხვა ახალმშენებლობაზე და კვლავ მთელი ენერგიით იბრძოლოს საქართველოს ენერგეტიკოს მშენებელთა წინაშე პარტიის მიერ დასახული დიდი ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის.



სურათზე: ტყიბულჰესის საგენერატორო შენობა.

პარტიული ცხოვრება

მეჯი ინიციატივა და თვითმოქმედება პარჯიულ მუშაობაში

პარტიული კრების დღის წესრიგში იდგა საკითხი პარტიული განათლების ქსელში მეცადინეობის მიმდინარეობის შესახებ. მოხსენება გააკეთა პარტბიუროს მდივანმა დ. ცარციძემ. კამათში მხოლოდ ორი კომუნისტი — პროპაგანდისტი კ. გაფრინდაშვილი და მსმენელი ა. გაფრინდაშვილი გამოვიდა. ეს იყო და ეს. არ იფიქროთ, რომ ეს მოხდა რომელიმე მცირერიცხოვან პარტორგანიზაციაში. არა! ეს იყო ჭიათურის ლენინის სახელობის მაღაროს ჭალების პარტიული ორგანიზაციის კრებაზე, ორგანიზაციისა, სადაც 130-ზე მეტი კომუნისტია.

ჩვენ ამაზე არაფერს ვიტყოდით, რომ ეს ერთეული შემთხვევა იყოს. აქ ცალკეული საკითხების განხილვისას გამართულ კამათში ხშირად მხოლოდ ორი-სამი კომუნისტი იღებს მონაწილეობას. არც ის არის კარგი, რომ საკითხებს უმთავრესად ერთი და იგივე აქტიანაგი ამზადებს და კამათშიც მხოლოდ ერთი და იგივე კომუნისტები გამოდიან. აქ შეხვდებით ათობით კომუნისტს, რომელთაც არასოდეს არ მიუღიათ მონაწილეობა კრებისათვის რამე საკითხის შესწავლა-მომზადებაში, არასოდეს არ გამოსულან კამათში. ეს ჭალების მაღაროს პარტბიუროს მუშაობის სერიოზული ნაკლია.

სამწუხაროა ისიც, რომ ნაკლებია პარტბიუროს წევრების თაოსნობა და ინიციატივა. საკითხები კრებაზე უფრო ხშირად პარტბიუროს მდივანს დ. ცარციძეს და ბიუროს წევრებს რ. ფერაძეს ან ზ. ციცვიძეს გამოაქვთ. კრებებზე გამართულ კამათშიც ძირითადად ეს ამხანაგები მონაწილეობენ. პარტბიურომ ვერ შეძლო კომუნისტების აქტიურად ჩაბმა პარტიულ კრებებზე განსახილველი საკითხების მომზადებაში. მხოლოდ ამით აიხსნება ის, რომ როცა აპრილში პარტიულ კრებაზე სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებების შესწავლის საკითხი განხილეს, აზრთა გაცვლა-გამოცვლაში მხოლოდ სამმა კომუნისტმა მიიღო მონაწილეობა.

სექტემბრის ბოლოს კომუნისტებმა კრებაზე იმსჯელეს პოლიტიკური განათლების ქსელში მეცადინეობის დაწყებისათვის მზადებისა და პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ. ჯერ-ერთი, პარტიული განათლების ქსელში მეცადინეობის დაწყებისათვის მზადებაში პარტიული ორგანიზაციის ამოცანებზე მსჯელობა 28 სექტემბერს, როცა მეცადინეობა 1 ოქტომბერს იწყება, ერთობ დაგვიანებული იყო. მეორეც ის, რომ საკითხის განხილვამ აშკარა ფორმალური ხასიათი მიიღო. ამ საკითხზე მხოლოდ ორმა კომუნისტმა — რ. ფერაძემ და ა. კაკოიშვილმა გამოთქვა აზრი.

ჯერ კიდევ 27 ივლისს პარტიულმა კრებამ განიხილა ასეთი საკითხი: „შესრულების შემოწმება პარტიული ხელმძღვანელობის ძირითადი მეთოდია“. მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგემ შ. ჩაჩანიძემ. კრებაზე აღინიშნა, რომ შესრულების კარგად დაყენებული შემოწმებისათვის ზრუნვა ჯერ კიდევ არ გამხდარა ყველა კომუნისტის საარსებო მოთხოვნილებად. ითქვა ისიც, რომ პარტბიუროს სხდომებზე და პარტიულ კრებებზე განხილული საკითხების გამო მიღებულია არაკონკრეტული დადგენილებანი. კომუნისტები ნაკლებად არიან ინფორმირებული მიღებულ დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობაზე. მაგრამ ამ ლაპარაკმა უქმად ჩაიარა. მართალია, დადგენილება კარგი მიიღეს, მაგრამ შესრულების შემოწმება კი აღრეც დავიწყებული ჰქონდათ და შემდეგაც არ გახსენებიათ.

სწორედ იმავე დღეს — 27 ივლისს პარტიულმა კრებამ განიხილა საკითხი კომკავშირული ორგანიზაციისადმი ხელმძღვანელობისა და დახმარების გაძლიერების შესახებ. დამახასიათებელია, რომ საკითხი, როგორც ყოველთვის, ახლაც პარტბიუროს მდივანმა დ. ცარციძემ მოამზადა, კამათში კი მხოლოდ კომკავშირული ორგანიზაციების ბიუროს მდივნები ე. გამგებელი და გ. ბრეგვაძე გამოვიდნენ. კრებაზე არც ერთ კომუნისტს არ გამოუთქვამს აზრი. კრებამ დადგენილება მიიღო, მაგრამ კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობა ამით არ გაუმჯობესებულა.

აღსანიშნავია, რომ პარტიულ კრებებზე განხილული საკითხები უმთავრესად პარტიული კომიტეტის ან საქალაქო კომიტეტის მიერ არის რეკომენდებული. პარტბიუროს აკლია ახლის გრძნობა. იგი ნაკლებ ინიციატივასა და თვითმოქმედებას იჩენს აქტუალური საკითხების დაყენება-გადაჭრაში.

მაღაროში არა ერთი წარჩინებული მბურღავი, მემანქანე, მებიგე, რკინიგზელი და ზეინკალია. მაგრამ პარტიული ორგანიზაცია ნაკლებად მუშაობს მოწინავეთა გამოცდილების შესწავლა-განზოგადებისათვის. ჭალების მაღაროს ყველაზე უფრო მექანიზებული საწარმოა ჭიათურაში. ეს ფართო გასაქანს აძლევს რაციონალიზატორებსა და გამომგონებლებს წინ წასწიონ ტექნიკური აზრი. მაგრამ, სამწუხაროდ, რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის საქმეს აქ ძალიან-ნაკლები ყურადღება ექცევა. პარტბიუროს შეეძლო ეს საკითხი პარტიული კრების მსჯელობის საგანი გაეხადა, მაგრამ ეს დღემდე რატომღაც არ გაკეთდა.

მაღაროს კოლექტივმა სექტემბერში არარენტაბელურად იმუშავა და 463.000 მანეთი გადახარჯა. შეიძლებოდა თუ არა, რომ მაღაროელ კომუნისტებს პარტიულ კრებაზე ამ საკითხზე ეთქვათ თავიანთი სიტყვა, ანალიზი გაეკეთებინათ არსებული მდგომარეობისათვის, დაესახათ ნაკლოვანებათა გამოსწორების გზები?

მაღაროში ქართველების მხარდამხარ არაერთი რუსი, უკრაინელი, სომეხი და სხვა ეროვნების წარმომადგენელი მუშაობს. ყველაფერი ეს პარტიულ ორგანიზაციას ფართო ასპარეზს აძლევს ხალხთა მეგობრობის დიადი იდეების პროპაგანდის გაჩაღებისათვის, მშრომელების პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდისათვის. მაგრამ პარტიული ორგანიზაცია ამ საკითხებზე ნაკლებად ფიქრობს. ამას ისიც მოწმობს, რომ წელს აქ არც ერთი ლექცია და მოხსენება არ წაუკითხავთ ხალხთა მეგობრობასა და პროლეტარულ ინტერნაციონალიზმზე.

პარტიული მუშაობა ცოცხალი, შემოქმედებითი საქმეა. იგი მეტ თაოსნობას, ინიციატივას, თვითმოქმედებას, ახლის გრძნობას მოითხოვს. მაგრამ სწორედ ეს აკლია პარტბიუროს.

ლენინის სახელობის მაღაროს პარტიულმა კომიტეტმა და პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტმა მეტი დახმარება უნდა გაუწიონ ჭალების მაღაროს პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბიუროსა და მის მდივანს.

პ. ჭიოკაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

წლიური დავალება განაღდებულია

ახმეტის სატყეო მრეწველობის მეურნეობამ სსრ კავშირის კონსტიტუციის დღისათვის — 5 დეკემბრისათვის მთლიანად შეასრულა ხე-ტყის დამზადების წლიური დავალება. დამზადებულია 80 ათასი კუბმეტრი საქმიანი მერქანი. მეურნეობის მუშაკებმა წელს გეგმით გათვალისწინებული 80 ათასი კუბმეტრი მორების ნაცვლად 83 ათასი კუბმეტრი მორები გამოზიდეს.

ხე-ტყის დამზადება-გამოზიდვაში ბევრმა ტყისმჭრელმა და მექანიზატორმა ისახელა თავი. მათ შორის არიან გ. უსიტაშვილი, ე. მუსტაფაევი, ო. ქურდაძე, ი. ნათელაური, თ. გომელაური და სხვები. მათ წლიური დავალება 130-160 პროცენტით გაანაღდეს.

სატყეო მრეწველობის მეურნეობის კოლექტივმა იკისრა წლის ბოლომდე დამატებით 7 ათასი კუბმეტრი ხე-ტყე გამოზიდოს. (საკ. კორ.).

ერთი სოფლის ახალმშენებლობანი

მახარაძე. (საკ. კორ.). სოფელ ჯუმათის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა ერთ-ერთი მძლავრი კოლმეურნეობაა მახარაძის რაიონში. ამ ბოლო წლებში აქ ფართოდ გაჩაღდა სოფლის ცენტრის კეთილმოწყობა და ახალმშენებლობა. სოფელმა სახე იცვალა. ამას წინათ დამთავრდა ადმინისტრაციული ორსართულიანი კაპიტალური სახლის მშენებლობა, რომელიც ამ დღეებში გადაეცა საექსპლოატაციოდ. შენობაში მოთავსებულია სოფლის სხვადასხვა დაწესებულებანი. მშენებლობაზე, მის კეთილმოწყობაზე მილიონ მანეთზე მეტი დაიხარჯა.

სოფლის საშუალო სკოლისათვის საფუძველი ჩაეყარა ახალ კაპიტალურ შენობას, რომლის დამთავრება გათვალისწინებულია მომავალ წელს. აქვე აიგება საკოლმეურნეო კლუბი, რომელიც 500-ზე მეტ მაყურებელს დაიტევს.

ჩქარი ტემპით მიმდინარეობს პირუტყვის კაპიტალური სადგომის მშენებლობა, რომელიც წელს დამთავრდება.

უახლოეს ხანში დამთავრდება სოფლის ელექტროფიცირების სამუშაოები.

მანდარინების შეფუთვა ბათუმის ციტრუსების შემფუთავ ქარხანაში.
ფოტო ვ. ბაბაიანისა.

სარძეო-სასაქონლო ფერმების მუშაკებო! არ დაუშვათ ნვეტადობის შემცირება, იზრუნეთ პროდუქტიულობის ამაღლებისათვის

ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი დ. ბენდელიანი უვლის 10 ძროხას. მან გასულ სამეურნეო წელს მოწველა 18.800 კილოგრამი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 16.800 კილოგრამისა. გადაჭარბებით შეასრულა აგრეთვე წველადობის გეგმა თ. ბასილაძემ.

სურათზე: მოწინავე მწველავები დ. ბენდელიანი (მარცხნივ) და თ. ბასილაძე.
ფოტო შ. გოქაძისა.

შეუწყნარებელი უდარდელობა

მარნეულის რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები სიამაყით ასახელებენ მეცხოველეობაში გასული წლის მაჩვენებლებს: წველადობის წლიური გეგმა შესრულებულია 111,1 პროცენტით, თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მოწველილია 1.000 კილოგრამი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 900 ლიტრისა.

სამწუხაროდ, მეცხოველეობაში ახალი სამეურნეო წელი სახარბიელო მაჩვენებლებით ვერ დაიწყეს. მიმდინარე წლის ოქტომბერში რაიონში საშუალოდ ერთ ძროხაზე მიიღეს 44 ლიტრი რძე ანუ გასული წლის ამავე პერიოდში მოწველილზე 6 ლიტრით ნაკლები.

ყველაზე დიდი ჩამორჩენაა წითელხიდის მტს-ის ზონაში (დირექტორი დ. მემარნიშვილი), რომელიც გასულ სამეურნეო წელს რაიონის ოთხივე მტს-ს შორის წველადობაში მოწინავე იყო. ამ მტს-ის მომსახურების კოლმეურნეობებში მიმდინარე წლის ოქტომბერში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით თვითეულ ძროხაზე საშუალოდ 15 ლიტრით ნაკლები რძე მიიღეს.

შულავრის მტს-ის ზონის (დირექტორი ვ. შენგელია) 12 კოლმეურნეობიდან ახალი სამეურნეო წლის პირველ თვეს წველადობის მატება ერთადერთ კოლმეურნეობას — სოფელ ქვემო სარალის კალინინის სახელობის კოლმეურნეობას აქვს, ისიც მხოლოდ თვითეულ საფურაჟე ძროხაზე 9 ლიტრით, დანარჩენი კოლმეურნეობები წველადობის შარშანდელ მაჩვენებლებს საგრძნობლად ჩამორჩებიან. სოფელ სადახლოს ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ს. ბაირამოვი) მიმდინარე წლის ოქტომბერში გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით საშუალოდ ერთ ძროხაზე მიღებულია 36 ლიტრით ნაკლები რძე.

ამავე მტს-ის ზონის სოფელ არაფლოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში თვითეულ ძროხაზე წველადობა ამა წლის ოქტომბერში 34 ლიტრი იყო, ნოემბრის პირველ ნახევარში კი 13 ლიტრს არ აღემატება. კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმის გამგეს ა. კუმბატოვს თუ დავუჯერებთ, ერთი თვეა, რაც 100 ძროხა ბაგურ კვებაზე გადაიყვანეს და სათანადო ულუფას აძლევენ. ფაქტიურად კი ასე როდია. აქ ძროხებს ძირითადად ნამჯითა და ჩალით კვებავენ. არ იყენებენ ყუათიან საკვებს — სიმინდს, რაციონით განკუთვნილი საკვები პირუტყვს ყოველთვის სრულად არ ეძლევა. ძროხების მეტი ნაწილი ძლიერ გამხდარია.

წველადობის გადიდების საქმეში ნაკლოვანებებს ვხვდებით მარნეულის მტს-ის (დირექტორი ე. ბაბასიანი) ზონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში. მაგალითად, ყიზილ-აჯლოს ბულგანინის სახელობის კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმაში (გამგე მ. ალიევი) ცუდად კვებავენ მეწველ ძროხებს. აქ უსუფთაობაა. კოლმეურნეობის ბუხჰალტერმა ა. მურსაკულოვმა განაცხადა, რომ ფერმაში მიმდინარე წლის ოქტომბერში გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით წველადობა 15 ლიტრით გაიზარდა, შემოწმებისას კი გამოირკვა პირიქით — წველადობა რამდენიმე ლიტრით არის შემცირებული.

მარნეულის რაიონში ზამთარში წველადობის გადიდების მრავალი შესაძლებლობა არსებობს, მხოლოდ საჭიროა ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელები მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ წველადობის გადიდებას და ფართოდ გამოიყენონ რაიონში არსებული შესაძლებლობანი.

გ. გელაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ბიბლიოთეკა
სავალალო შედეგი

გასულ სამეურნეო წელს ლაგოდეხის რაიონის მეცხოველეებმა ერთგვარ წარმატებებს მიაღწიეს წველადობის გადიდების საქმეში. საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე მიიღეს 820 ლიტრი რძე ნაცვლად წინა წელს მიღებული 709 ლიტრისა. მაგრამ ახალი სამეურნეო წლის დაწყებიდან მუშაობა გააუარესეს და წველადობამ საგრძნობლად იკლო.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ თუ 1955 წლის ოქტომბერში რაიონში საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე მიღებული იყო 64 ლიტრი რძე, 1956 წლის ოქტომბერში მოწველეს 52 ლიტრი რძე. ეს ჩამორჩენა უწინარეს ყოვლისა იმით აიხსნება, რომ პირუტყვი საკვებით ვერ უზრუნველყვეს.

წელს რაიონში გეგმით უნდა დაემზადებინათ 51.420 ცენტნერი თივა, დაამზადეს 37.150 ცენტნერი. შესრულებული არ არის ბზისა და ჩალის, სილოსისა და სხვა წვნიანი საკვების მომარაგების დავალება. აღსანიშნავია, რომ გეგმით უნდა დაესილოსებინათ 65.000 ცენტნერი ტაროიანი სიმინდი, ფაქტიურად არც ერთი ცენტნერი არა აქვთ დასილოსებული. არც მწვანე კონვეიერისათვის თესვის დავალება შეუსრულებიათ.

გასული სამეურნეო წელი ჩამორჩენით დაამთავრეს ვარდისუბნის მტს-ის ზონის კოლმეურნეობებმა. საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე მიღებულია 705 ლიტრი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 730 ლიტრისა. ოქტომბერში კი ერთ ძროხაზე მიღებულია მხოლოდ 25 ლიტრი რძე.

სოფელ კაბლის კოლმეურნეობაში, რომლის თავმჯდომარეა ამხ. იბათა მამედოვი, სრული უდარდელობა გამოიჩინეს და სავალალო შედეგიც მიიღეს. თუ გასული წლის ოქტომბერში 86 ძროხიდან საშუალოდ ერთზე მიღებული იყო 58 ლიტრი რძე, წელს ოქტომბერში ამდენივე ძროხიდან თვითეულს მოწველეს 5 ლიტრი. აქ საკმაო რაოდენობით არა აქვთ საკვები, 2.000 ცენტნერი თივის ნაცვლად დაამზადეს 1.600 ცენტნერი. გეგმით უნდა ჰქონდეთ 7.000 ცენტნერი ბზე და ჩალა, აქვთ 4.800 ცენტნერი. გეგმით გათვალისწინებული 5.000 ცენტნერი სიმინდის სილოსიდან არც ერთი ცენტნერი არა აქვთ დასილოსებული. შესრულებული არ არის სხვა წვნიანი საკვების დაგროვების დავალებანი.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები სერიოზულად უნდა ჩაუფიქრდნენ ამ მდგომარეობას და გადამჭრელი ზომები მიიღონ წველადობაში არსებული ჩამორჩენის დასაძლევად.

გ. ხეჩუაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

საზეიმო პირობას დებენ, მაგრამ არ ასრულებენ

მეექვსე ხუთწლედის პირველ წელს საზოგადოებრივი მეცხოველეობის ახალი აღმავლობისათვის წულუკიძელები ბა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს სამტრედიელი კოლმეურნეები. ეს იყო მიმდინარე წლის გაზაფხულზე. როგორ შეასრულეს სამტრედიელმა კოლმეურნეებმა ნაკისრი ვალდებულება?

იქ, სადაც კოლმეურნეობათა გამგეობებმა და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა საზოგადოებრივი მეცხოველეობის აღმავლობისათვის ზრუნვა თავიანთი მუშაობის პირველხარისხოვან საქმედ აქციეს და ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად მასები დარაზმეს, კარგი შედეგებიც მიიღეს. ამ მხრივ რაიონში გამოირჩევა კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე თამარ თავაძე), სადაც გასულ წელს გადაჭარბებით შეასრულეს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობისა და ძროხის წველადობის გეგმები. ნაკისრი ვალდებულებები გაანაღდეს აგრეთვე სოფელ ნაფაღაურის მალენკოვის სახელობის, დიდი ჯიხაიშის ნინოშვილის სახელობის, გომის ცხაკაიას სახელობის და მთელმა რიგმა სხვა კოლმეურნეობებმა. სამწუხაროდ, მოწინავე კოლმეურნეობების მაგალითს როდი მიბაძა რაიონის ყველა კოლმეურნეობამ.

მართალია, გასულ სამეურნეო წელს რაიონში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საერთო სულადობის გეგმა შეასრულეს, მაგრამ ძროხის სულადობის ზრდის დავალება ვერ გაანაღდეს. გეგმის შესრულებას დააკლდა 174 სული ძროხა. ჩამორჩნენ წველადობის გეგმის შესრულებაში. რაიონში საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე მიიღეს 704 კილოგრამი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 770 კილოგრამისა. ძროხის სულადობისა და წველადობის გეგმა 30 კოლმეურნეობიდან ვერ შეასრულა 14-მა. ამ მდგომარეობიდან სათანადო დასკვნები არ გაუკეთებიათ. ჩამორჩენა კვლავ გრძელდება.

ახალი სამეურნეო წლის პირველ თვეში წველადობა შემცირდა. მაგალითად, ოქტომბერში რაიონის კოლმეურნეობებმა საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე მიიღეს 31 კილოგრამი რძე, ანუ 7,8 კილოგრამით ნაკლები, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში, ხოლო მთლიანად რაიონში მიღებულია 22.544 კილოგრამით ნაკლები რძე.

ოქტომბერში განსაკუთრებით ჩამორჩნენ სოფელ მელაურის ლენინელიძის სახელობის, კულაშის კალინინის სახელობის, ბაშის სტალინის სახელობის, ჩხენაშის მახარაძის სახელობის, ღანირის სტალინის სახელობის, ნაფაღაურის ლენინის სახელობის კოლმეურნეობები. სოფელ მელაურის ლენინელიძის სახელობის კოლმეურნეობაში გასულ წელს საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე მიიღეს 450 კილოგრამი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 900 კილოგრამისა. კოლმეურნეობის ხელმძღვანელობის (თავმჯდომარე ს. ახობაძე) და მეცხოველეობის დარგის მუშაკების (ფერმის გამგე გ. ჩაჩუა) მოუქნელი მუშაობის შედეგად წველადობა მკვეთრად შემცირდა. სექტემბერში ერთ საფურაჟე ძროხაზე წველადობა შეადგენდა 40 კილოგრამს, ხოლო ოქტომბერში 21 კილოგრამამდე დავიდა. უარესი მდგომარეობა იყო ნოემბერში. 24 ნოემბერს მწველავმა მ. შენგელიამ 14 მეწველ ძროხაზე მხოლოდ 6 კილოგრამი რძე ჩამოწველა. ეს იმიტომ მოხდა, რომ პირუტყვის მოვლა-შენახვას სათანადო ყურადღება არ ექცევა. ძროხები დასუსტებულია. საკმაო რაოდენობით არა აქვთ საკვები. ყველაფერი რიგზე როდია მალლი წველადობის მხრივ კარგი ტრადიციების მქონე ძველი სამტრედიის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ გასული სამეურნეო წლის დავალება ვერ გაანაღდეს. წველადობამ იკლო მიმდინარე წლის ოქტომბერ-ნოემბერშიც.

რაიონის კოლმეურნეობებში პატივისცემით არ სარგებლობს სოციალისტური შეჯიბრება. ფაქტები: გასულ წელს ძველი სამტრედიის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა შესანიშნავი ინიციატივა გამოიჩინეს და სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ კრასნოდარის მხარის ლაზარევსკოეს რაიონის სოფელ დაგომისის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებთან. მაგრამ შემდეგ ეს საქმე მიივიწყეს. ასეთივე ბედი ეწია წულუკიძელებთან შეჯიბრებასაც. სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რაიონული თათბირის მონაწილეთათვის ვალდებულებების გაცნობის შემდეგ იგი არავის მოჰგონებია.

ნაკისრი ვალდებულებების პერიოდული შემოწმება და მუშაობის გამოცდილების გაზიარების მიზნით დელეგაციების გაცვლა არ მომხდარა. ამაში ბრალი მიუძღვით რაიონის ხელმძღვანელ ორგანოებს.

სოციალისტური შეჯიბრებისადმი ფორმალური დამოკიდებულება უნდა აღიკვეთოს.

„კომუნისტის“ რედიდის მონაწილენი:
ჟ. ჯანჯღავა,
რაიონულ გაზეთ „წინსვლის“ რედაქტორი;
ბ. სიხარულიძე,
გაზეთ „წინსვლის“ რედაქციის განყოფილების გამგე;
ვ. კოკალეიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ხალხთა ლენინური მეგობრობის დროშით

გუნიბელთა სოციალისტური ვალდებულებანი

გუნიბის რაიონის კოლმეურნეებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, ისევე როგორც მთელ საბჭოთა ხალხს, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი შეასრულონ ის გრანდიოზული ამოცანები, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დაუსახა სოფლის მეურნეობის მუშაკებს. ვისწრაფვით რა გავადიდოთ მეცხოველეობისა და მემცენარეობის პროდუქტების წარმოება, მივაღწიოთ მაღალ მაჩვენებლებს შრომაში, ჩვენ ორი წლის წინათ დავდეთ სოციალისტური ხელშეკრულება საქართველოს სსრ დუშეთის რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკებთან.

ჩვენ დიდი ხალისით განვაგრძობთ სოციალისტურ შეჯიბრებას და ვკისრულობთ შემდეგ ძირითად ვალდებულებებს.

ახალ სამეურნეო წელს მნიშვნელოვნად გავადიდებთ პირუტყვის სულადობას და ავამაღლებთ მის პროდუქტიულობას. ორგანიზებულად და უდანაკარგოდ ჩავატარებთ მოგების კამპანიას და ყოველ ას დედაპირუტყვზე მივიღებთ 85 ხბოს, 60 კვიცს, 95 ბატკანს.

ხელოვნურად დავთესავთ 3.000 ძროხას, 65.000 ცხვარს, რისთვისაც რაიონის კოლმეურნეობებში მოვაწყობთ ხელოვნურად დათესვლის 35 პუნქტს ცხვრებისათვის, 25 პუნქტს — მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვის. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ჯიშობრივ შემადგენლობას ავიყვანთ 55 პროცენტამდე, ცხვრისას — 80 პროცენტამდე.

თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მივიღებთ 1.250 კილოგრამ რძეს, თვითეულ ცხვარზე — 3 კილოგრამ მატყლს.

100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე უზრუნველვყოფთ პროდუქციის გამოსავალს: ხორცისა (ცოცხალი წონით) — 18 ცენტნერს, რძისა — 23 ცენტნერს, მატყლისა — 2 ცენტნერს.

ბაგაზე და საძოვრებზე გავასუქებთ 1.500 სულ მსხვილფეხა რქიან პირუტყვს, 20.500 ცხვარსა და თხას.

პირუტყვის შემდგომი ზრდის უზრუნველყოფის მიზნით განვახორციელებთ შემდეგ ღონისძიებებს:

ა) 1957 წლის 1 ოქტომბრისათვის დავამთავრებთ მეცხოველეობის ყველა შენობის რემონტს და მშენებლობას, აგრეთვე მომზადებას პირუტყვის ბაგური შენახვისათვის;

ბ) 1957 წელს დავამზადებთ 40.000 ტონა თივას, 16.790 ტონა წვნიან საკვებს, მათ შორის 13.200 ტონა სილოსს, 1.060 ტონა კონცენტრირებულ საკვებს. დამზადებულ თივას მთლიანად ფერმებთან მივზიდავთ 1957 წლის 1 ოქტომბრისათვის.

მოვახდენთ შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციას სოფელ ბუხტის ლენინის სახელობის, სოფელ სუღრათლის ფრუნზეს, ტელმანის, სტალინის სახელობის კოლმეურნეობათა სარძეოსასაქონლო ფერმებში, მთებში.

ელექტროსაპარსავი აგრეგატებით გავპარსავთ სულ მცირე 130.000 ცხვარს.

ავაგებთ პირუტყვის 7 სადგომს — 570 სულისათვის, 6 სახბორეს — 380 სულისათვის, 11 ფარეხს — 10.800 სულისათვის, ერთ საფრინველეს; სასილოსე ნაგებობებს, კოშკებსა და ნახევარკოშკებს, რომელთა ტევადობა იქნება 1.350 ტონა.

სამომთაბარო საძოვრებზე მეცხოველეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით გავატარებთ შემდეგ ღონისძიებებს:

ა) საზამთრო საძოვრებზე მოვაწყობთ 5 აბანოს;

ბ) ყველა 56 საზამთრო საძოვარზე მოვაწყობთ წითელ კუთხეებს, უზრუნველვყოფთ მეცხოველეებს გაზეთებით, ჟურნალებით, წიგნებით.

ზოოვეტერინარულ კურსებზე მოვამზადებთ 60 კაცს.

მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო დამზადებათა გეგმებს შევასრულებთ: ხორცისას — 1957 წლის 1 ნოემბრისათვის, რძისას — 1 ოქტომბრისათვის, მატყლისას — 15 ოქტომბრისათვის, ტყავნეულეულისას — 1 დეკემბრისათვის.

არბიტრობას სოციალისტურ შეჯიბრებაში ვთხოვთ გაზეთებს „კომუნისტს“ და „დაგესტანსკაია პრავდას“.

ვალდებულებანი განხილული და მიღებულია გუნიბის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე.

წერილები რედაქციას
მეჯი უკრაიდლება სილიკატური აგურის წარმოებას

მეექვსე ხუთწლედში ჩვენს რესპუბლიკაში უნდა აშენდეს მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი, აგებული იქნება ახალი ფაბრიკა-ქარხნები, კულტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობები. ყოველივე ეს მოითხოვს დიდძალ საშენ მასალას, რომლის ნაკლებობას ჯერ კიდევ განიცდიან საქართველოს მშენებლები. ზამთრის პერიოდში განსაკუთრებით იგრძნობა აგურის სიმცირე.

აგურს მშენებლობაში ჯერჯერობით წამყვანი ადგილი უჭირავს. ჩვეულებრივი თიხის გამოწვის შედეგად მიღებული აგურის წარმოება უძველესი დროიდან არის ცნობილი, მაგრამ არსებობს კიდევ სილიკატური აგური, რომლის წარმოებას სულ 50 წლის ისტორია აქვს. დღეს სილიკატური აგურის წარმოებისა და ნედლეულის მარაგის მხრივ საბჭოთა კავშირს მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს. მარტო მოსკოვის ოლქის ლიუბერცის ქარხანა დღეღამეში მილიონ ცალს სილიკატურ აგურს უშვებს. სილიკატური აგური მზადდება კვარცის სილისა და კირისაგან და ჩვეულებრივ აგურთან შედარებით მრავალი უპირატესობა აქვს. სილიკატური აგური გამოშრობას არ საჭიროებს, სათანადო ნედლეულის გადამუშავებიდან 10-12 საათის შემდეგ შეიძლება მივიღოთ მშენებლობაზე გამოსაყენებელი მზა სილიკატური აგური, წითელი აგურის დამზადებისათვის კი კვირეებია საჭირო.

მიუხედავად ამისა, ჩვენს რესპუბლიკაში დღემდე ფართოდ არ არის დანერგილი სილიკატური აგურის წარმოება, თუმცა გვაქვს ამის დიდი შესაძლებლობანი. მაგალითად, სხვა მოძმე რესპუბლიკებში, სადაც სილიკატური აგურის ქარხნებია, კირს ასეულ კილომეტრზე ეზიდებიან. ჩვენში კი კვარცის სილების გვერდით არის კირქვის საბადოებიც, რაც საუკეთესო ეკონომიურ პირობებს ქმნის სილიკატური აგურის წარმოებისათვის. ასეა, მაგალითად, ჭიათურის, ხარაგოულის, ქუთაისის რაიონებში, სურამში, ავჭალაში და სხვ.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივმა ნოვატორი ინჟინრების ი. კეკელიძისა და გ. სიორიძის ხელმძღვანელობით დიდი ღვაწლი დასდო საქართველოში სილიკატური აგურის წარმოების დანერგვას. აჯამეთის სპონგოლიტების და კირქვების ბაზაზე 1949 წლის იანვრიდან მუშაობს სილიკატური აგურის საამქრო ერთი წნეხით, ორი ავტოკლავით და სხვა დამხმარე მოწყობილობით.

აგურის წარმოების ტექნოლოგიის ასათვისებლად მოსკოვის კორონევსკის სილიკატური აგურის ქარხანაში გაიგზავნენ ინჟინერი გ. სიორიძე და ამ წერილის ავტორი. ტექნოლოგიის შესწავლასთან ერთად აქვე მოხდა აჯამეთის ნედლეულის გამოცდა, რამაც საუკეთესო შედეგები მოგვცა. ამის შემდეგ დავიწყეთ საამქროს ექსპლოატაცია და გამოვუშვით მრავალი მილიონი ცალი თეთრი აგური. ამ საამქროში აღიზარდნენ კვალიფიციური კადრები, რომელთა გამოყენება მომავალ ქარხნებში დიდ სარგებლობას მოგვიტანს. ამასთან საამქროში საშენ მასალათა რესპუბლიკური ლაბორატორიის მუშაკებმა ჩაატარეს საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან შემოტანილი ნედლეულის გამოცდა.

სილიკატური აგურის წარმოებაში ამ უკანასკნელ ხანს დაინერგა ახალი ძვირფასი სამშენებლო მასალა, რომელსაც მიკროპორიტი ეწოდება. მიკროპორიტმა შეცვალა უამრავი ხეტყე, აგური და ბეტონი. მიკროპორიტს ფართო გამოყენება აქვს ტიხრებისა და სართულშუა გადახურვებისათვის. იგი მზადდება ჩვეულებრივი თიხისა და ჩამქრალი კირისაგან, გამოიხარშება ისეთივე წესით, როგორც სილიკატური აგური, ერთადერთი დამატებითი მოწყობილობა მისი წარმოებისათვის არის საშრობი კამერა. მიკროპორიტი ხასიათდება საუკეთესო ფიზიკური თვისებებით. იგი იმდენად მჩატეა, რომ წყალზე ტივტივებს, არ ატარებს ბგერასა და სითბოს, ცეცხლგამძლეა, იხერხება ხერხით.

მიკროპორიტი შექმნეს უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის არქიტექტურის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მუშაკებმა ზაპოროჟიეს სილიკატური აგურის ქარხნის კოლექტივთან მჭიდრო თანამშრომლობით. ამ მასალას მასობრივად იყენებენ უკრაინაში.

თუ საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო მოკლე ხანში სილიკატურ აგურთან ერთად საქართველოს მშენებლობებს მიაწვდის მიკროპორიტს, ჩვენი მშენებლები ამით დიდად მოიგებენ. საჭიროა დავაჩქაროთ სილიკატური აგურის ქარხნების საექსპლოატაციოდ გადაცემა, დავნერგოთ ამ ქარხნებში მიკროპორიტის წარმოება.

ზ. ჩოგაძე,
ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ინჟინერი.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ
„საქართველოს მეშახტეებისა და შახტმშენებლების ღირსების საქმე“

„კომუნისტში“ ამ სათაურით გამოქვეყნებულ მოწინავე წერილში გაკრიტიკებული იყო საქართველოს ქვანახშირის მრეწველობაში ქვანახშირის ამოღების, შრომის ნაყოფიერების ზრდის და შახტების სპროექტო სიმძლავრეთა ათვისების საქმეში არსებული ნაკლოვანებები.

საქართველოს ქვანახშირის კომბინატის უფროსი ამხ. ა. ვარდიშვილი რედაქციას ატყობინებს, რომ „კომუნისტის“ მოწინავე წერილში მოყვანილი ფაქტები სწორია. მოწინავე წერილი განხილულ იქნა როგორც საექსპლოატაციო შახტებში, ისე სამშენებლო ობიექტებზე. მხილებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად დასახულ იქნა პრაქტიკული ღონისძიებანი. ყველა შახტში მოეწყო ქრონომეტრაჟული დაკვირვება, შრომის პროცესებში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად მიღებულ იქნა ქმედითი ღონისძიებანი. გადაისინჯა ნორმები. შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის განხორციელების შედეგად საგრძნობად შემცირდა დამხმარე მუშების რაოდენობა, ხოლო სამაგიეროდ გადიდდა მნგრეველთა ჯგუფების მუშათა რაოდენობა.

წიგნის ერთთვიური

მრავალფეროვანი ღიზეერაგურა

ბათუმი. (საკ. კორ.). აჭარაში წარმატებით მიმდინარეობს წიგნის ერთთვიური, რომელიც 15 ნოემბერს დაიწყო. მარტო პირველ დეკადაში „საქწიგნის“ აჭარის განყოფილებისა და აჭარკოოპკავშირის მაღაზიებმა გაყიდეს 90 ათასი მანეთის პოლიტიკური, მხატვრული, სამეცნიერო, ტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურა.

ათეულ ათასობით მანეთის ლიტერატურა შეიძინა ბათუმის მოსახლეობამ. ქალაქში განსაკუთრებით დაწინაურდა „საქწიგნის“ № 5 მაღაზია, რომელმაც დღემდე გაყიდა 30 ათასი მანეთის წიგნები და ბროშურები. დიდძალი ლიტერატურა მიჰყიდა მოსახლეობას „საქწიგნის“ № 1 მაღაზიამაც.

რაიონებს შორის დაწინაურდნენ ქობულეთისა და ხულოს რაიონები. მარტო ქობულეთის რაიონის მშრომელებმა ერთთვიურის დღეებში შეიძინეს 10 ათას მანეთზე მეტი ღირებულების წიგნები.

სავაჭრო ქსელში შეტანილია დიდძალი ახალი ლიტერატურა. აჭარკოოპკავშირის სოფლის მაღაზიებმა წიგნის ერთთვიურთან დაკავშირებით მიიღეს 90 ათასი მანეთის წიგნები და ბროშურები, სულ კი სავაჭრო ქსელში არსებული ლიტერატურის ღირებულება ნახევარ მილიონ მანეთს აღწევს.

განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მასალებზე, „სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში“ — სამივე ნაწილზე. მკითხველები ყიდულობენ ლ. ლეონოვის რომანს „რუსული ტყე“, კ. გამსახურდიას რომანს „ვაზის ყვავილობა“, ე. ზედგინიძის რჩეულ ნაწარმოებებს, პ. ლორიას ახალ რომანს „შვილები“ და სხვ.

მშრომელთა უკეთ მომსახურების მიზნით ერთთვიურის დღეებში წიგნით ვაჭრობა ეწყობა ფაბრიკებსა და სანაზაობიის დაწესებულებებში, ხოლო დატარებითი ვაჭრობა — საწარმო-დაწესებულებებში.

ერთთვიურის პირველმა დღეებმა გამოავლინა ზოგიერთი ნაკლოვანებაც. ვაჭრობის ცუდი ორგანიზაციის შედეგად ზოგიერთი რაიონი და მაღაზია ჩამორჩა. ქედის რაიონში, მაგალითად, გეგმით გათვალისწინებული 15 ათასი მანეთის ნაცვლად პირველ დეკადაში აჭარკოოპკავშირის მაღაზიებმა გაყიდეს მხოლოდ 2.200 მანეთის ლიტერატურა. ამ რაიონში ლიტერატურის გავრცელებაში ჩამორჩება აგრეთვე „საქწიგნის“ მაღაზია.

საგრძნობია ნაკლებობა სასოფლო-სამეურნეო და ქართული და რუსული საბჭოთა მხატვრული ლიტერატურისა, რაზეც დიდი მოთხოვნილებაა.

მშრომელები იძენენ წიგნებს

ამბროლაური. (საკ. კორ.). ერთთვიურის ათი დღის განმავლობაში რაიონში გაყიდულია 40 ათასი მანეთის მხატვრული და პოლიტიკური ლიტერატურა. ამბროლაურის რაიონის ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებმა „საქწიგნის“ მაღაზიაში შეიძინეს 4.000 მანეთის ლიტერატურა. ამდენივე მანეთის წიგნები შეიძინეს რაიკავშირის მუშაკებმა. დიდი რაოდენობით ყიდულობენ წიგნებს აგრეთვე ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის და სხვა დაწესებულებათა თანამშრომლები. რაიონის კოლმეურნეობებმა უკვე შეიძინეს 25.500 მანეთის წიგნები.

მშრომელთა დიდი მოთხოვნილებაა ა. წერეთლის მე-5 და მე-6 ტომზე, კ. გამსახურდიას „ვაზის ყვავილობაზე“, თ. დონდუაშვილის „ალაბანზე“, ნ. ოსტროვსკის „როგორ იწრთობოდა ფოლადი“, ჭ. ლომთათიძის „თხზულებებზე“, პ. ლორიას წიგნზე „შვილები“ და სხვ.

გიოლოგიური პრეპარატების კომბინატი

თბილისიდან ათიოდე კილომეტრის მანძილზე მოწყობილია სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიოლოგიური მრეწველობის ტრესტის ტაბახმელის სახელმწიფო ბიოლოგიური პრეპარატების კომბინატი. იგი ითვლება ერთ-ერთ მსხვილ სამრეწველო საწარმოდ, რომელიც აღჭურვილია უახლესი ტექნიკითა და მოწყობილობით.

რამდენიმე ათეული წელია კომბინატი ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ცხოველების სხვადასხვა სნეულებათა საწინააღმდეგო პრეპარატების დასამზადებლად, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მეცხოველეობის განვითარებისათვის.

კომბინატი ამზადებს ისეთ ფრიად მნიშვნელოვან პრეპარატებს, როგორიც არის ციმბირის წყლულის, ჰემორაგიული სეპტიცემიის საწინააღმდეგო შრატები და ქათმის ჭირის საწინააღმდეგო მშრალი ვირუს-ვაქცინა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს უკანასკნელი პრეპარატი მშრალი სახით პირველად 1953 წელს შემუშავებულ იქნა საქართველოს სამეცნიერო-საკვლევი ვეტერინარული ინსტიტუტის მიერ, რის შემდეგ კომბინატს დაევალა მისი ათვისება და მასობრივი დამზადება. ამჟამად მშრალ ვირუს-ვაქცინას მთელ საბჭოთა კავშირში მხოლოდ ტაბახმელის ბიოლოგიური პრეპარატების კომბინატი ამზადებს.

კომბინატში ცოტა როდია გამოცდილი და მცოდნე სპეციალისტები. მთავარ ვეტერინარს ს. არზიანს 20-ზე მეტი წლის მუშაობის გამოცდილება აქვს. იგი 1934 წელს მოვიდა კომბინატში სამუშაოდ, და მას შემდეგ პირნათლად ემსახურება თავის საქმეს. მისი ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით ათვისებულ იქნა მშრალი ვირუს-ვაქცინის დამზადება. არზიანს კარგი მუშაობისათვის მიღებული აქვს ჯილდოები. ათი წელია ბიოლოგიური პრეპარატების წარმოების საქმეს ხელმძღვანელობს ლ. ვათეიშვილი. იგი დიდი გამოცდილების მქონე სპეციალისტია.

კომბინატი კეთილმოწყობილია. აქვს კლუბი, სამკითხველო, სასადილო, სავაჭრო მაღაზია, მუშათა საერთო საცხოვრებელი, მარადმწვანე მცენარეებით სავსე დიდი ეზო.

ც. ვაჭარაძე.

კომბინატის სამეცნიერო-საკონტროლო ლაბორატორიაში. (მარცხნიდან) სახელმწიფო კონტროლიორი ც. მენთეშაშვილი, ლაბორანტი ნ. პაპაშვილი ბიოპრეპარატის გამოცდაზე.

ბიოპრეპარატების კომბინატის მშრალი ვირუს-ვაქცინის საამქროში პრეპარატორები (მარჯვნიდან) — ა. პაპაიანცი, ქ. დემეტრაშვილი, პ. ფერიაშვილი მუშაობენ ამპულების დარჩილვაზე.
ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის ელექტროფიკატორების თათბირი

ამას წინათ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროში შედგა სოფლის ელექტროფიკაციის დარგის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი, რომელიც გახსნა სოფლის მეურნეობის მინისტრმა ამხ. ვ. ქერქაძემ.

თათბირმა განიხილა სოფლის ელექტროფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსის ამხ. ვ. მეტრევლის მოხსენება წელს საქართველოს სოფლის ელექტროფიკაციისათვის გაწეული მუშაობის შედეგებისა და მომავალი წლის ამოცანების შესახებ.

თათბირზე გამოსულმა ელექტროფიკატორებმა აღნიშნეს, რომ უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაუმჯობესდა სასოფლო ელექტროსადგურების მშენებლობისა და ექსპლოატაციის საქმე, გაჩაღდა მუშაობა სასოფლო ელექტროსადგურებში ავტომატიკისა და ტელემექანიკის დანერგვავად, ამაღლდა მომხმარებლისათვის მიწოდებული ელექტროენერგიის ხარისხი და შემცირდა ავარიების რიცხვი.

მიღწეულ წარმატებებთან ერთად აღინიშნა მთელი რიგი ნაკლოვანებები, რომლებიც სოფლის ელექტროფიკაციის მუშაკებს ჯერ კიდევ არ დაუძლევიათ. ჯერ კიდევ დიდია უმოქმედო საკოლმეურნეო ჰიდროელექტროსადგურების რაოდენობა, ბევრ ელექტროსადგურსა და ქვესადგურზე არ არის დაცული ტექნიკური უსაშიშრობის და ექსპლოატაციის წესები, ზოგიერთ საკოლმეურნეო ობიექტზე მოუგვარებელია დაგეგმვის, აღრიცხვის, მომსახურე პერსონალის შრომის ანაზღაურებისა და ელექტროენერგიის ტარიფიკაციის საკითხები, გამოყენებული არ არის ელექტროენერგია სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში შრომატევადი სამუშაოების ელექტროფიკაციისათვის, სუსტად მუშაობენ ელეკავშირის ადგილობრივი ორგანიზაციები, რომლებსაც დავალებული აქვთ კოლმეურნეობების საბოძე მასალითა და ზოგიერთი ელექტრომასალებით მომარაგება, მოუგვარებელია სასოფლო ელექტროსადგურების ძირითადი მოწყობილობის საქარხნო შეკეთების საქმე და ა. შ.

თათბირმა დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი სასოფლო ელექტროსადგურებისა და ელექტროდანადგარების მშენებლობისა და ექსპლოატაციის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

გ. კუჭავა,
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის ელექტროფიკაციის სამმართველოს ინჟინერი.

სასკოლო მერხიდან — ფრაქტორზე

ქაჭრეთი. (საკ. კორ.). დიდი ხანია გულატი ზარდიაშვილი მექანიზატორობაზე ოცნებობდა. გასულ წელს დაამთავრა თუ არა საშუალო სკოლა, მივიდა ბადიაურის მტს-ში მისთვის სასურველი პროფესიის შესასწავლად. პირველად იგი მისაბმელ მანქანაზე ამუშავეს. მალე ველოსიპედის მექანიზაციის სკოლაში გაგზავნეს, რომელიც კარგი შეფასებით დაამთავრა. მტს-ში დაბრუნებისთანავე № 2 სატრაქტორო ბრიგადაში ცვლის ტრაქტორისტად გააფორმეს.

ბუდიონოვკელ კოლმეურნეთა შორის გ. ზარდიაშვილმა სიყვარული დაიმსახურა. მან საშემოდგომო ხვნის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა, წარმატებები მოიპოვა თესვაშიც.

საშემოდგომო სამუშაოებში წარმატებისათვის № 2 სატრაქტორო ბრიგადას გადაეცა გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც გულატი ზარდიაშვილის ტრაქტორს ამშვენებს.

გ. ზარდიაშვილი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტის დაუსწრებელ სექტორზე სწავლობს.

რადიო და ველეფონი საკოლმეურნეო სოფელში

თერჯოლა. (საკ. კორ.). ამ ბოლო დროს რაიონში მნიშვნელოვანი მუშაობა იქნა გაწეული საკოლმეურნეო სოფლების რადიოფიკაციისა და ტელეფონიზაციისათვის. თერჯოლაში მოეწყო ახალი რადიოკვანძი, რომელიც მომსახურებას უწევს რაიონულ ცენტრს, სოფელ ღვანკითის, თერჯოლის ლენინის სახელობისა და კოლმეურნეობა „განთიადის“ მშრომელებს. ახალი თერჯოლის კოლმეურნეობა „ნაპერწკალში“ გაყვანილია ტელეფონი. ახლო მომავალში ტელეფონისა და რადიოს გაყვანა დაიწყება კლდიაშვილის სახელობის კოლმეურნეობაში.

სტუდენტთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის მაღალი დონისათვის

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პარტიულ ორგანიზაციას შეგნებული აქვს ის დიდი ამოცანები, რომლებიც მის წინაშე დგას სტუდენტთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენების საქმეში. პარტიული ორგანიზაცია, ხელმძღვანელობს რა პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, ახორციელებს მთელ რიგ ღონისძიებებს იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესებისათვის. უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად გაძლიერდა პარტიული პროპაგანდის კავშირი ცხოვრებასთან.

სასწავლო პროცესისა და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების შედეგად მიღწეულ იქნა სტუდენტთა აკადემიური წარმატების დონის ამაღლება და შეგნებული დისციპლინის განმტკიცება.

პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებისა და მასალების შესწავლამ სტუდენტ ახალგაზრდობაში გაზარდა ინტერესი მარქსისტულ-ლენინური თეორიის ღრმად დაუფლებისადმი, სამედიცინო მეცნიერების ახალი მიღწევების ათვისებისადმი.

პარტიული ორგანიზაცია, სწავლების ხარისხის ამაღლებასთან ერთად, დიდ ყურადღებას აქცევს სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა შორის იდეურ-პოლიტიკური მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას.

მნიშვნელოვნად გამოცოცხლდა საგიტაციო მუშაობა. აგიტატორები ნ. გავაშელი, ბ. თევზაია, თ. ზურაბიშვილი სისტემატურად მართავენ საუბრებს. ისინი აგიტაციას მჭიდროდ უკავშირებენ ინსტიტუტის ცხოვრებას, მის წინაშე მდგომი ახალი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის საქმეს.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უმაღლესი სასწავლებლებისაგან მოითხოვენ, რომ მათ სამშობლოს მისცენ იდეურ-პოლიტიკურად მომზადებული მაღალკვალიფიციური სპეციალისტები. ეს გარემოება გვავალებს განვუვითაროთ სტუდენტ ახალგაზრდობას საზოგადოებრივი მოვალეობის მაღალი შეგნება, აღვზარდოთ იგი საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ხალხთა ურღვევი მეგობრობის სულისკვეთებით.

პარტიული ორგანიზაცია სისტემატურად ახორციელებს ღონისძიებებს ახალგაზრდობის ინტერნაციონალური აღზრდისათვის. ჩვენს ინსტიტუტში ქართველ სტუდენტებთან ერთად სწავლობენ რუსები, უკრაინელები, სომხები, აზერბაიჯანელები და სხვა მოძმე ერების წარმომადგენლები.

ხშირად ეწყობა ექსკურსიები საბჭოთა კავშირის ქალაქებში. მიმდინარე წლის ზაფხულში ინსტიტუტის 25 სტუდენტი იყო ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში. კიევში ოქტომბრის რევოლუციის 39-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმს დაესწრო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტთა ჯგუფი. ამავე დღეებში ჩვენთან სტუმრად იმყოფებოდნენ კიეველი სტუდენტები.

სტუდენტთა იდეურ-პოლიტიკური და ინტერნაციონალური აღზრდისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების მუშაობას. ჩვენი ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება აერთიანებს 7 სექციურ განყოფილებას, რომელთა მუშაობაში 700-ზე მეტი სტუდენტი მონაწილეობს.

მიმდინარე წელს ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე ქართველ სტუდენტებთან ერთად მოხსენებით გამოვიდნენ მოსკოვის, ერევნის, გორკის, რიგის და ასტრახანის სამედიცინო ინსტიტუტების სტუდენტები. 1955 წელს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო წრის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს ლენინგრადის, კიევის, რიგის, გორკისა და ერევნის სამედიცინო ინსტიტუტების სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების მუშაობაში.

სტუდენტთა აღზრდის, მათი კომუნისტური შეგნებულობის ამაღლების საქმეში მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებს. ჩვენი ინსტიტუტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა დისციპლინების პროფესორ-მასწავლებლები აქტიურ მონაწილეობას იღებენ სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდაში. მაგრამ ამასთან ერთად ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. საზოგადოებრივ მეცნიერებათა ხაზით ზოგიერთი ლექცია და სემინარი დაბალ იდეურ დონეზე ეწყობა, მოწყვეტილია ცხოვრებას, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკას.

პარტიული ორგანიზაცია ახორციელებს მთელ რიგ ღონისძიებებს სტუდენტთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდისათვის. სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში ეწყობა ლექციები, დასვენებისა და გართობის საღამოები. მიმდინარე წლის 24 ნოემბერს მედიცინის მუშაკთა კ. ვოროშილოვის სახელობის კულტურის სახლში ინსტიტუტის პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა საქართველოს სსრ მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად მოაწყეს პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა დასვენების საღამო. განხორციელდა ასეთი საღამოები მოეწყოს შემდეგშიც.

მიუხედავად განხორციელებული ღონისძიებებისა სტუდენტთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მაღალ დონეზე დაყენების საქმეში ჯერ კიდევ გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებანი.

სტუდენტ ახალგაზრდობაში იდეურ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის არასათანადო დაყენებით უნდა აიხსნას, რომ ჩვენი ინსტიტუტი ახალგაზრდა სპეციალისტთა განაწილების სახელმწიფო გეგმას წლების მანძილზე ვერ ასრულებს. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არიან ახალგაზრდები, რომლებიც პირად ინტერესებს ყველაფერზე მაღლა აყენებენ. ისინი ყოველხარად ცდილობენ თავი აარიდონ სამუშაოზე წასვლას. ამ ახალგაზრდების შეუწყნარებელ მოქმედებას ზოგჯერ ცალკეული მუშაკებიც უწყობენ ხელს. ისინი თვითნებურად იღებენ ახალგაზრდა სპეციალისტებს სამუშაოზე.

მაგალითად, ექიმი ა. კაკაურიძე, რომელიც განაწილებით უნდა გამგზავრებულიყო ქ. ქუთაისში, ერთი წლის მანძილზე თავს არიდებდა იქ წასვლას იმ მოტივით, რომ მას თითქოს „მეცნიერული“ მუშაობის შესაძლებლობა არ ექნებოდა. ექიმ კაკაურიძეს აღმოაჩნდა მფარველები საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში და იგი სამუშაოდ მიიღეს ექსპერიმენტული ქირურგიის ინსტიტუტში.

ჩვენი ინსტიტუტის პარტიული კომიტეტი და საფაკულტეტო პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები ხშირად მსჯელობენ ახალგაზრდა სპეციალისტთა განაწილებისა და ადგილებზე გამოცხადების საკითხებზე, მაგრამ გაწეული მუშაობა მაინც არ არის დამაკმაყოფილებელი. ამის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ წელს 9 კაცმა უარი თქვა დათანხმებოდა განაწილებას, ხოლო ახალგაზრდა სპეციალისტების ნაწილი სამუშაოდ არ გამოცხადდა. მაგალითად, დღეისათვის რესპუბლიკის გარეთ განაწილებული 129 სპეციალისტიდან ადგილზე გამოცხადდა 51 კაცი, ხოლო საქართველოში განაწილებულ 230 კაციდან — 181.

სტუდენტთა აღზრდის გაუმჯობესების საქმეში სერიოზულ როლს ასრულებს საგამოცდო სესიების საქმიან ვითარებაში ჩატარება, სტუდენტებისადმი მაღალი, მაგრამ სამართლიანი მომთხოვნელობა, მათი ცოდნის გულმოდგინედ შემოწმება. საჭიროა სტუდენტთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის სწორი ორგანიზაცია, ყოველგვარი ამორალური მოვლენებისა და დისციპლინის დარღვევის წინააღმდეგ ზომების დროულად მიღება.

სტუდენტთა შორის დისციპლინის განმტკიცებაზე უარყოფით გავლენას ახდენს მათი განუწყვეტელი დენადობა, სხვა ინსტიტუტებიდან გადმოყვანა სწავლის პროცესში, ამორალური საქციელისათვის რამდენიმე წლის წინათ გარიცხულთა აღდგენა. 1956 წლის თებერვალში სხვადასხვა ინსტიტუტიდან სწავლის პროცესში მარტო სამკურნალო ფაკულტეტის პირველ კურსზე გადმოყვანილ იქნა 12 კაცი. არის აგრეთვე საგნის ჩაუბარებლად კურსიდან კურსზე სტუდენტთა გადაყვანის შემთხვევები.

მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის არასათანადო დაყენებით უნდა აიხსნას, რომ არის სტუდენტების მიერ ქუჩებში და საზოგადოებრივი შეკრების ადგილებში საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის შემთხვევები.

სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრება ინსტიტუტის კომკავშირის ორგანიზაციას. სამწუხაროდ, კომკავშირული ორგანიზაცია საქმაო ღონისძიებებს არ ახორციელებს სტუდენტთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის, ქმედითს ზომებს არ იღებს უდისციპლინო კომკავშირელების მიმართ. მაგალითად, სამკურნალო ფაკულტეტის კომკავშირის ორგანიზაციის კრებაზე დიდი დაგვიანებით იქნა განხილული საკითხი მე-3 კურსის სტუდენტების რევიშვილისა და ფურცხვანიძის შეუფერებელი საქციელის შესახებ. ფაკულტეტის კომკავშირულ კრებაზე ასევე დაგვიანებით განიხილეს მე-5 კურსის სტუდენტების კაკიშვილისა და ბეჟიტაშვილის ხულიგნური საქციელის საკითხი. პარტიულმა ორგანიზაციამ უნდა იბრძოლოს იმისათვის, რომ მნიშვნელოვნად გაძლიერდეს ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტისა და აკადემიური ჯგუფების კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობა.

სტუდენტთა სწავლების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს სასწავლო ბაზების მოწყობას და აპარატურით და მოწყობილობით მათ აღჭურვას. ჩვენი ინსტიტუტის კლინიკები თანამედროვე აპარატურით და მოწყობილობით უზრუნველყოფილი არ არიან. სტუდენტთა შორის სათანადო ღონისძიებათა განსახორციელებლად ინსტიტუტს არა აქვს საჭირო ბაზები. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობა ამ საქმის შეუფასებლობას იჩენს. სამედიცინო ქალაქში ორ წელიწადს მიმდინარეობდა სასპორტო მოედნის მშენებლობა, რაზეც 200.000 მანეთამდე დაიხარჯა. იმის გამო, რომ მშენებლობა ცუდად იყო დაგეგმილი, ისიც, რაც გაკეთდა, ამჟამად დაანგრიეს, ხოლო ახლის მშენებლობა ჯერ არავის დაუწყია და ინსტიტუტის ახალგაზრდობას სასპორტო ბაზა არა აქვს.

ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაციის ამოცანაა, რომ ყოველმხრივ გაძლიერდეს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა სტუდენტთა შორის, აღზარდოს ახალგაზრდობა პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა ურღვევი მეგობრობის სულისკვეთებით, სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით.

პ. ბელბასიანი,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივანი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XI სესია

3 დეკემბრის პლენარული სხდომა

ნიუ-იორკი, 4 დეკემბერი. (საკადესი). 3 დეკემბერს გენერალური ასამბლეის დილის პლენარულ სხდომაზე დელეგაციების ჯგუფმა ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით განაახლა ცდა თავს მოახვიონ ასამბლეას ეგრეთწოდებული უნგრეთის საკითხის განხილვა. შეერთებული შტატების დელეგაცია ამჯერად არ ამოუფარა თავისი სატელიტების ზურგს, როგორც ეს იყო წინათ, როდესაც ასპარეზზე გამოუშვეს კუბის დელეგაცია, და ცხადყო, რომ შეერთებული შტატები არიან მთავარი ორგანიზატორი პროვოკაციული ხმაურისა ეგრეთწოდებული „უნგრეთის მდგომარეობის“ საკითხის გარშემო.

ამერიკის პრესა აღიარებს, რომ უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გამალებით „იმუშავეს“ იმისათვის, რომ თავიანთი მორიგი პროვოკაციული რეზოლუციის თანაავტორებად გაეხადათ ზოგიერთი სხვა ქვეყანა. მაგრამ მათ მოახერხეს გადაებირებინათ უმთავრესად მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების პარტნიორები სხვადასხვა სამხედრო ბლოკში, აგრეთვე ლათინური ამერიკის ქვეყნების დელეგაციები, რომლებიც ჩვეულებრივ მორჩილად მიჰყვებიან ყველაფერში შეერთებულ შტატებს.

ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციისა და სხვა ცამეტი ქვეყნის (არგენტინა, ავსტრალია, ბელგია, კუბა, დანია, სალვადორი, ირლანდია, იტალია, ჰოლანდია, ნორვეგია, პაკისტანი, შვეცია, ტაილანდი) დელეგაციების რეზოლუციის პროექტი არის ახალი ცდა თავს მოახვინონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საშინაო საქმეებში ჩარევა. იგი შეიცავს წინადადებას გაგზავნონ უნგრეთში ეგრეთწოდებული „მეთვალყურენი“. პროექტის დამახასიათებელია უხეში ცილისწამება უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის მიმართ; მიუხედავად უნგრეთის მთავრობის არაერთგზისი ოფიციალური უარყოფისა. პროექტი კვლავ იმეორებს მონაჩოის „გასახლების“ შესახებ. უფრო მეტიც, ამერიკის პროექტი შეიცავს ულტიმატუმის ელემენტებს, წინადადებას აძლევს რა უნგრეთისა და სსრ კავშირის მთავრობებს „არაუგვიანეს შვიდი დღეკმბრისა“ აცნობონ მათი თანხმობა „მეთვალყურეთა“ დაშვებაზე.

პირველი გამოვიდა რა სხდომის გაძღოლის წესის გამო, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ი. ხორვატმა განაცხადა, რომ მისი დელეგაცია კვლავ პროტესტს აცხადებს უნგრეთის საშინაო საქმეებში ჩარევის წინააღმდეგ ეგრეთწოდებული „უნგრეთის საკითხის“ განხილვის სახით. ჩემს დელეგაციას, თქვა ხორვატმა, არაერთხელ ნათლად აღუნიშნავს, რომ ის, რაც უნგრეთში ხდება, მისი საშინაო საქმეა. ამიტომ გენერალური ასამბლეისათვის სრულიად უადგილოა განიხილოს ეს საკითხი და მიიღოს მის გამო რაიმე რეზოლუცია.

ი. ხორვატმა აღნიშნა, რომ უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის პოლიტიკა და პროგრამა სავსებით და მთლიანად ემყარება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებს. შემდეგ მან აღნიშნა, რომ დაუშვებელია რაიმე პარალელის გავლება უნგრეთის ამბებსა და საფრანგეთ-ინგლის-ისრაელის აგრესიას შორის ეგვიპტელი ხალხის წინააღმდეგ. ეგვიპტის ამბებთან დაკავშირებით, თქვა მან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩარევა სავსებით აუცილებელი იყო, რადგან საქმე ეხებოდა სამი სახელმწიფოს თავდასხმას სხვა სახელმწიფოზე, რომელსაც ამისათვის არავითარი საბაბი არ მიუცია. უნგრეთში საქმე არ ეხება კონფლიქტს ორ სახელმწიფოს შორის. საბჭოთა ჯარები უნგრეთში არიან უნგრეთის მთავრობის დასტურით, უნგრეთის მთავრობის თხოვნით.

ყოველივე ზემონათქვამის საფუძველზე, თქვა დასასრულ ი. ხორვატმა, უნგრეთის დელეგაცია კვლავ პროტესტს აცხადებს იმის წინააღმდეგ, რომ ასამბლეამ განიხილოს ეგრეთწოდებული უნგრეთის საკითხი და მიიღოს მის გამო რაიმე ახალი რეზოლუცია. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელმა მოუწოდა ასამბლეას არ შეუქმნას დაბრკოლებანი უნგრეთის მთავრობას, რომელიც ახორციელებს უნგრეთის დემოკრატიზაციისა და მისი დამოუკიდებლობის განმტკიცების პროგრამას. უნგრეთის დელეგაციის მეთაურმა მოითხოვა მოიხსნას ასამბლეის დღის წესრიგიდან უნგრეთის საკითხი, როგორც პროვოკაციული საკითხი.

შემდეგ გამოვიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების, ჰოლანდიის, ბელგიის, დანიისა და არგენტინის წარმომადგენლები, რომლებიც მოითხოვდნენ იმ რეზოლუციის მიღებას, რომლის თანაავტორები ისინი არიან.

ამერიკის დელეგატი ლოჯი ცილს სწამებდა საბჭოთა კავშირსა და უნგრეთს, მოუწოდებდა რა ასამბლეას უხეშად ჩაერიოს უნგრეთის საშინაო საქმეებში. იგი მოითხოვდა „მეთვალყურეთა“ აუცილებლად გაგზავნას. ლოჯმა განაცხადა, რომ თუ არ მოხერხდა „მეთვალყურეთა“ გაგზავნა უნგრეთში, ისინი უნდა გაგზავნონ უნგრეთის „მეზობელ“ ქვეყნებში, მხედველობაში ჰქონდა რა, ალბათ ავსტრია, რომლის მთავრობა, როგორც ვიცით, „ნეიტრალურ“ როლი როდი ასრულებს უნგრეთის ამბებში.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების წარმომადგენელთა გამოსვლებმა ცხადყო, რომ მიზნებს, რომლებსაც ისინი ისახავენ, საერთო არა აქვს რა მშვიდობისა და უშიშროების დაცვისათვის ზრუნვასთან.

დღის სხდომაზე ამერიკის შეერთებული შტატების პროვოკაციული რეზოლუციის წინააღმდეგ გადაკრით გაილაშქრეს ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, ალბანეთის, რუმინეთისა და საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებმა.

ჩეხოსლოვაკიის დელეგატმა ვ. დავიდმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეგრეთწოდებულ უნგრეთის საკითხზე დისკუსიის განახლება არის მანევრი, რომლის მიზანია ჩამოაშორონ გენერალური ასამბლეის ყურადღება საკითხებს, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს მის მხრივ.

ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნგრეთში კონტრრევოლუციური ამბოხების ჩახშობამ მოსპო სერიოზული საფრთხე ევროპის მშვიდობისადმი, და მოუწოდა ასამბლეას უარი თქვას უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საშინაო საქმეებში ჩარევაზე და არ შეუშალოს ხელი უნგრელ ხალხს, რომ მან აღადგინოს დანგრეული მეურნეობა.

ბულგარეთის დელეგატმა კ. ლუკანოვმა აღნიშნა, რომ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა მტკიცედ უბრუნდება ნორმალურ ცხოვრებას. ჩაიფუშა იმის გეგმები, რომ დემოკრატიული უნგრეთი გადაექციათ ფაშისტურ-ჰორტისტულ ქვეყნად, რომელიც დაემუქრებოდა მეზობელ სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებს. ეს იწვევს მშვიდობისა და დემოკრატიის მტრების გაფთრებულ გაბოროტებას. ის ძალები, რომლებიც უნგრეთში კონტრრევოლუციური გამოსვლების ორგანიზატორები და სულისჩამდგმელნი იყვნენ, ახლა არიან ავტორები სხვადასხვა რეზოლუციისა ეგრეთწოდებულ უნგრეთის საკითხზე, რათა გააქტიურონ რეაქციული ელემენტების საქმიანობა უნგრეთში. ბულგარეთის წარმომადგენელმა მოუწოდა ასამბლეას უარყოს ამერიკის რეზოლუცია, რომლის მიზანია ხალხთა შორის მტრობის გაღვივება და საერთაშორისო დაძაბულობის გაძლიერება.

კუბის დელეგატი პორტუონდო გამოვიდა საზიზღარი ცილისწამებით უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მან პირდაპირ განაცხადა, რომ დელეგაციების ჯგუფი, რომელშიც იგი შედის, არ აპირებს მოხსნას დღის წესრიგიდან „უნგრეთის საკითხი“ და განზრახული აქვს კვლავ გამოიყენოს გენერალური ასამბლეის ტრიბუნა სოციალისტური ბანაკის ქვეყნების წინააღმდეგ პროვოკაციული წაქეზების კამპანიისათვის.

სრულიად დაკარგა რა ზომიერების გრძნობა, კუბელი იმუქრებოდა, რომ „სხვა გზით იმოქმედებენ“ — გაერთიანებული ერების ორგანიზაციიდანაც კი „გარიცხავენ“ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას, თუ პროექტით გათვალისწინებულ ულტიმატუმურ ვადაში არ იქნა შესრულებული გენერალური ასამბლეის უკანონო რეზოლუციები.

ამერიკის რეზოლუციის პროექტს მხარი დაუჭირეს თავიანთ გამოსვლებში იტალიის, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის დელეგატებმა. დაამახინჯეს რა უნგრეთის ამბებთან დაკავშირებული ფაქტები, ისინი მოითხოვდნენ „მეთვალყურეთა“ გაგზავნას უნგრეთში.

რუმინეთის დელეგაციის მეთაურმა პრეოტიასამ აღნიშნა, რომ ამერიკის რეზოლუციის პროექტი ობიექტურად მიზნად ისახავს შემდგომი არეულობის წაქეზებას უნგრეთში და არ შეიძლება ემსახურებოდეს ამ ქვეყნის მდგომარეობის სტაბილიზაციას, რასაც უნდა ესწრაფოდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. პრეოტიასამ შემდეგ განაცხადა, რომ უნგრეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ნადი 23 ნოემბრიდან იმყოფება რუმინეთში. რუმინეთის მთავრობამ, თქვა მან, ნადს მისცა პოლიტიკური თავშესაფარი, როგორც მისი საკუთარი უშიშროების ინტერესებისათვის, ისე უნგრეთში მდგომარეობის ნორმალიზაციის ინტერესებისათვის. მან დასძინა, რომ ნადი და მისი თანამგზავრები რუმინეთში სარგებლობენ ტრადიციული სტუმართმოყვარეობით და პოლიტიკური ლტოლვილთა ყველა უფლებით და რომ მათი ყოფნა რუმინეთში დროებითია.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის დელეგაციის ხელმძღვანელმა ვ. ვ. კუზნეცოვმა.

ვ. ვ. კუზნეცოვის გამოსვლა

საბჭოთა დელეგაცია, თქვა ვ. ვ. კუზნეცოვმა, მტკიცედ ეწინააღმდეგებოდა გენერალურ ასამბლეაში ეგრეთწოდებული „უნგრეთის საკითხის“ განხილვას. დაეინებითი ცდა აიძულონ ასამბლეა განიხილოს საკითხი, რომელიც არ შედის მის კომპეტენციაში და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საშინაო საქმეს წარმოადგენს, მხოლოდ ბღალავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როგორც საერთაშორისო ორგანიზაციის ავტორიტეტს და ხდის მას ზოგი სახელმწიფოს პოლიტიკის იარაღად, რომლებიც სხვა სახელმწიფოთა წინააღმდეგ გამოდიან. ჩვენ ვერ უგულებელვყოფთ იმ დიდმნიშვნელოვან გარემოებას, რომ ამ საკითხზე კამათი კი არ ანელებს, არამედ მხოლოდ აძლიერებს საერთაშორისო დაძაბულობას.

მთელი რიგი ორატორების გამოსვლებმა, განაგრძო საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა, კვლავ ცხადყო, რომ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საშინაო საქმეებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩარევის მოთხოვნით ისინი ისახავენ მიზნებს, რომლებსაც საერთო არა აქვს რა მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებისათვის ზრუნვასთან. ისინი აშკარად ხელმძღვანელობენ მისწრაფებით შებღალონ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სუვერენიტეტი, თავიანთი წამქეზებლური სიტყვებით წაახალისონ უნგრეთის კონტრრევოლუციური იატაკქვეშეთის ნაშთები.

ამხილა რა ისინი, ვინც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში განაგრძობს უნგრელი ხალხის წინააღმდეგ მიმართულ პოლიტიკურ ოპერაციას, ვ. ვ. კუზნეცოვმა თქვა, რომ საბჭოთა დელეგაცია მთელი სერიოზულობით და სიმკვეთრით აყენებს საკითხს, რომ საჭიროა ბოლო მოეღოს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საშინაო საქმეებში გარეშე რეაქციული ძალების უხეშ ჩარევას.

ილაპარაკა რა იმაზე, თუ როგორ იყო მოწყობილი ფაშისტური შეთქმულება, ვ. ვ. კუზნეცოვმა აღნიშნა, რომ ახლანდელი მომენტისათვის გამოქვეყნებულია დაწვრილებითი ცნობები, რომლებიც ცხადყოფენ, რომ აჯანყების მომზადებას უნგრეთში ხელმძღვანელობდნენ უნგრეთის რეაქციულ-ფაშისტური ორგანიზაციების გაერთიანებული ძალები, რომლებიც იმყოფებიან ამერიკის შეერთებულ შტატებში, დასავლეთ გერმანიასა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში. ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლები ბ-ნი ჰუვერი და ბ-ნი ლოჯი აქ პუტჩის ორგანიზატორებს სახავდნენ როგორც თავისუფლებისათვის მებრძოლთ, თქვა ვ. ვ. კუზნეცოვმა. ვინ არიან ისინი, ეს „თავისუფლებისათვის მებრძოლნი“? ეი ერთ-ერთი მათგანი — ეს არის უდიდესი მიწათმფლობელი გრაფი ესტერჰაზი, რომელსაც ჰორტის რეჟიმის დროს ეკუთვნოდა უნგრეთის მთელი მიწების თითქმის მეოთხედი. ის იყო, რომ ბუდაპეშტში დამკვიდრდა აჯანყების შავ დღეებში, უცხოეთის სახელმწიფო საელჩოებში ტელეფონს რეკავდა და აცხადებდა: „ტელეფონთან არის გრაფი ესტერჰაზი. მე დავუბრუნდი პოლიტიკურ მოღვაწეობას. უახლოეს მომავალში ვაპირებ შევდგე მთავრობის შემადგენლობაში. საჭიროების შემთხვევაში შეგიძლიათ დამიკავშირდეთ“.

ყოფილი მემამულეები, კაპიტალისტები, ჰორტისტი ოფიცრები — ეი ვინ არიან პუტჩის სულისჩამდგმელნი, ეი ვინ მოაწყო უნგრელი პატრიოტების სისხლისღვრა, ვინ გააცოცხლა მეხსიერებაში საშუალო საუკუნეების საშინელი ბართლომეს ღამის სცენები. მათ სულისჩამდგმელთა შორის არიან ოტო ჰაბსბურგი და უნგრეთში ჰიტლერის ყოფილი მოადგილის გემბეშის ვაჟი, რომლებმაც უმალვე გამოუცხადეს თავიანთი სიმპათიები მეამბოხეებს. უნგრეთის ყოფილი ფაშისტი დიქტატორის ვაჟმა უმცროსმა ჰორტიმ მეამბოხეებს გამოუგზავნა თავისი განაწესი — „სათანადოდ გაუსწორონ ანგარიში კომუნისტებს“. მალე ხმა ამოიღო მისმა მიხრწნილმა მშობელმა, რომელსაც რევანშის იმედი ჯერ კიდევ არ დაუკარგავს: როცა უნგრეთის ამბები შეიტყო, მან დაუყოვნებლივ შესთავაზა თავისი სამსახური. ლისაბონს თავშეფარებული, ძველი კონტრრევოლუციონერი, გადასახტომად მზადყოფი ელოდებოდა, როდის შეძლებდა უნგრეთში დაბრუნებას თეთრი ცხენით.

ამრიგად, ხაზგასმით აღნიშნა საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა, უნგრეთში ფაშისტური აჯანყების მეთაურებმა და სულისჩამდგმელებმა თვითონ მალე გამოაჩინეს საკუთარი სახე, რაკი დარწმუნებული იყვნენ, რომ აი ეს არის ხელში ჩაიგდებდნენ ძალაუფლებას. მაგრამ სულ სხვანაირად გამოვიდა: უნგრელი ხალხის ჯანსაღმა ძალებმა ამბოხების მეთაურთა ნამდვილი სახე რომ დაინახეს, შეძლეს მალე მობილიზება, დასახმარებლად მოიწვიეს საბჭოთა კავშირი და ამბოხება ჩაახშეს.

არ შეიძლება დავივიწყოთ, თქვა შემდეგ ვ. ვ. კუზნეცოვმა, რომ უნგრეთის ამბოხების კვალს მიეყვართ დასავლეთში მოქმედი საერთაშორისო ფაშისტური ცენტრებისაკენ, რომლებიც განაგრძობენ მშვიდობისათვის საშიშ თავიანთ საქმიანობას. ამასთან დაკავშირებით ამხ. კუზნეცოვი შეეხო ამერიკული ორგანიზაციის საქმიანობას, რომელიც მოქმედებს ყალბი სახელწოდებით „ჯვაროსნული ლაშქრობა თავისუფლებისათვის“ და რომელსაც ეკუთვნის რადიოსადგური ბრანაკლეტ ყალბი სახელწოდებით — „თავისუფალი ევროპა“. ამ ორგანიზაციას, რომელიც უხვად აფინანსებს ძირგამომთხრელ საქმიანობას თავისუფალ ხალხთა წინააღმდეგ, ხელმძღვანელობენ ამერიკის შეერთებული შტატების თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწეები, აგრეთვე ამერიკის უდიდესი მონოპოლიების წარმომადგენლები.

უნგრეთში ფაშისტური აჯანყების დღეებში რადიოსადგური „თავისუფალი ევროპა“, რომლის ანარაკში 1.200 კაცია, გადაიქცა კონტრრევოლუციური გამოსვლების ხელმძღვანელობის ცენტრად. იგი განუწყვეტლივ აძლევდა პირდაპირ მითითებებს და ბრძანებებსაც კი ჰორტისტთა ბანდებს.

თუ ჩვენ, თქვა საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა, ნამდვილად გვსურს მოვსპოთ განხეთქილების თესლი, რასაც რეაქციული წრეები თესენ, თუ ნამდვილად გვსურს მოვსპოთ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყარო, რომელიც საერთაშორისო დაძაბულობას კვებავს, თუ ნამდვილად ვისწრაფვით გავაჯანსაღოთ საერთაშორისო ატმოსფერო და განვამტკიცოთ მშვიდობა, — ერთხელ და სამუდამად უნდა მოვეღოთ ბოლო უცხოეთის რეაქციული წრეების დანაშაულებრივ ჩარევას სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში.

რაც შეეხება უნგრეთს, განაგრძო ვ. ვ. კუზნეცოვმა, რომელიც ესოდენ ძლიერ დაზარალდა ფაშისტური აჯანყების შედეგად, ახლა მას ესაჭიროება ერთი რამ: რომ თავი დაანებონ და ხელს არ უშლიდნენ პასუხსაგები და ძნელი ამოცანის შესრულებაში — უნგრეთში წესრიგის დამყარებასა და ნორმალური ცხოვრების აღდგენაში.

ფაშისტური პუტჩი უნგრეთში მთლიანად ლიკვიდირებულია უნგრელი ხალხის ჯანსაღი ძალების მტკიცე მოქმედების მეოხებით.

უნგრეთში ფაშისტური პუტჩის ჩახშობასთან დაკავშირებით გაცრუდა ზოგიერთი სახელმწიფოს რეაქციული ჯგუფების იმედი, რომ უნგრეთში მოეხდინათ სახალხო-დემოკრატიული წყობილების ლიკვიდაცია. ეს იწვევს განსაკუთრებულ გაბოროტებასა და თავდასხმას საბჭოთა კავშირზე, რომლის შეიარაღებულმა ძალებმა უნგრეთის მთავრობის თხოვნით დახმარება გაუწიეს უნგრელ ხალხს კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში. საბჭოთა კავშირის პოზიცია უნგრეთში საბჭოთა ჯარების ყოფნის საკითხში დაწვრილებით გაშუქდა საბჭოთა დელეგაციის წინანდელ განცხადებებში.

უნგრეთის მთავრობა, აღნიშნა ვ. ვ. კუზნეცოვმა, სრული საფუძვლით აცხადებს, რომ უნგრეთში მომხდარი ამბები შეადგენს მხოლოდ და მხოლოდ უნგრეთის საშინაო საქმეებს და არ შედის რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციის, მათ შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომპეტენციაში. უარყოფს რა ყოველგვარ ცდას გამოიყენონ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია უნგრეთის საშინაო საქმეებში ჩარევისათვის—როგორც მეთვალყურეთა გაგზავნის გზით, ისე სხვა საშუალებებით, — უნგრეთის მთავრობა ამავე დროს კვლავ მზად არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს მისცეს შესაძლებლობა მიიღოს პირადი ინფორმაცია უნგრეთში არსებული მდგომარეობის შესახებ. ამ მიზნით იგი წინადადებას იძლევა დაიწყოს სათანადო მოლაპარაკება რომში ან ნიუ-იორკში, აგრეთვე იწვევს გენერალურ მდივანს უფრო გვიან, როცა ეს მოსახერხებელი იქნება ორივე მხარისათვის, ეწვიოს ბუდაპეშტს უნგრეთის მთავრობასთან უშუალო მოლაპარაკების საწარმოებლად.

ამრიგად, უნგრეთის მთავრობამ განაცხადა, რომ მზად არის ითანამშრომლოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან. მიუხედავად ამისა, უნგრეთის საშინაო საქმეებში ჩარევის მიზერები უგულებელყოფენ უნგრეთის მთავრობის ამ კონსტრუქციულ ნაბიჯს. ისინი თავიანთ სიტყვებში აცხადებენ, რომ აპირებენ გამოიგონონ ახალი საკითხები, რათა ასამბლეას შემდგომშიც თავს მოახვიონ ეგრეთწოდებული უნგრეთის პრობლემის განხილვა. ამით ისინი ამჟღავნებენ თავიანთ ნამდვილ მიზნებს გამოიყენონ „უნგრეთის საკითხი“, უნგრეთში სახალხო-დემოკრატიული წყობილების წინააღმდეგ, ყველა სოციალისტური ქვეყნის წინააღმდეგ პროვოკაციულ-ძირგამომთხრელი მოქმედებისათვის.

ილაპარაკა რა იმ დახმარებაზე, რასაც უნგრეთს უწევენ სოციალისტური სახელმწიფოები და, კერძოდ, საბჭოთა მთავრობა, ვ. ვ. კუზნეცოვმა განაცხადა:

ახლა უნგრელმა ხალხმა დაიწყო ფაშისტი ელემენტების მიერ მიყენებული ჭრილობების მოშუშება. **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წმიდა მოვალეობაა ხელი შეუწყოს იმას, რომ ეს ჭრილობები რაც შეიძლება მალე მოშუშდეს. დანაშაული იქნებოდა ხელი შეეშალათ უნგრელი ხალხისათვის თავისი სახალხო-დემოკრატიული წყობილების განმტკიცებაში.**

ჩვენ მოვუწოდებთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას უკუაგდოს უნგრეთის საშინაო საქმეებში ჩარევის ყოველგვარი ცდა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოვალეობა და ვალია დაიცვას უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სუვერენიტეტი ხელყოფისაგან ამათ მხრივ, ვისაც სურს ამ ქვეყანაში რეაქციული, ანტიხალხური ძალების ბატონობის რესტავრაცია.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, თქვა დასასრულ ვ. ვ. კუზნეცოვმა, საბჭოთა დელეგაცია ხმას მისცემს ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა ქვეყნების მიერ წარმოდგენილი რეზოლუციის პროექტის წინააღმდეგ.

XVI ოლიმპიური ასპარეზობა

მელბურნი, 6 დეკემბერი. (საკადესი). გუშინ მამდინარეობდა შეჯიბრება ტანვარჯიშში, სროლაში, ფეხბურთში, ცურვაში, ფარიკაობაში, კლასიკურ ჭიდაობასა და სპორტის სხვა სახეობებში.

ტანმოვარჯიშე ქალები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ნებისმიერი პროგრამით. თავისუფალ ვარჯიშში საბჭოთა ტანმოვარჯიშემ ლ. ლატინინამ და უნგრელმა სპორტსმენმა ა. კელეტიმ მოაგროვეს 18,732 ბალი თვითეულმა. ორივე დაჯილდოებულია ოქროს მედლებით. ბრინჯაოს მედალი მოიპოვა რუმინელმა სპორტსმენმა ვ. ეუმტიანმა.

ლ. ლატინინა გახდა აგრეთვე ოლიმპიური ჩემპიონი ბრჯენით ხტომაში საერთო შედეგით 18,833 ბალი. ვერცხლის მედალი მოიპოვა ტ. მანინამ (სსრ კავშირი).

ნაირსიმაღლის ორძელზე შეჯიბრებებში პირველი ადგილი დაიკავა უნგრელმა სპორტსმენმა ა. კელეტიმ, რომელმაც მოაგროვა 18,966 ბალი. ვერცხლის მედალი მოიპოვა ლ. ლატინინამ — 18,833 ბალი, ბრინჯაოს მედალი აგრეთვე საბჭოთა სპორტსმენმა ს. მურატოვამ მოიპოვა. ა. კელეტი გამარჯვებული გამოვიდა აგრეთვე დვირზე ვარჯიშში შედეგით 18,800 ბალი, ტ. მანინამ და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა ე. ბოსაკოვამ გაინაწილეს მეორე-მესამე ადგილები, მოაგროვეს რა ბალები თანაბარი რაოდენობით — 18,633. ორივეს მიენიჭა ვერცხლის მედლები.

პირად ჩათვლაში ლ. ლატინინამ ოლიმპიური რვაჭიდის ჯამში მოაგროვა 74,933 ბალი და გახდა ოლიმპიური ჩემპიონი. ამრიგად, ლ. ლატინინამ საერთოდ მოიპოვა სამი ოქროს მედალი. მეორე ადგილზეა ა. კელეტი, მესამეზე — ს. მურატოვა.

გუნდურ ჩათვლაში ოლიმპიური რვაჭიდის ჯამში სსრ კავშირის გუნდმა მოაგროვა 370,80 ბალი და პირველ ადგილზე გამოვიდა. შემდეგ არიან უნგრეთისა და რუმინეთის გუნდები. საბოლოოდ გუნდური ადგილები განაწილდება პორტატიული სავნებით ვარჯიშის შემდეგ, რომელიც გაიმართება 7 დეკემბერს.

ოლიმპიურ სტადიონზე გაიმართა ოლიმპიადის ფეხბურთის ტურნირის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო შეხვედრა, რომელსაც 40 ათასზე მეტი მაყურებელი დაესწრო. ნახევარფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირისა და ბულგარეთის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდები.

პირველი წუთებიდანვე მოედანზე შეუპოვარი ბრძოლა გაიმართა, ორივე გუნდს ჰქონდა მთელი რიგი შესაძლებლობა გაეხსნა ანგარიში, მაგრამ მათი დარტყმები კარში არაზუსტი იყო. პირველი ნახევარი დამთავრდა ანგარიშით 0:0.

თამაშის მეორე ნახევარში, მიუხედავად ორივე გუნდის ღონისძიებებისა, ანგარიში აგრეთვე არ გახსნილა. არსებული დებულების მიხედვით, გუნდებს მისცეს დამატებითი დრო. თამაშში დამთავრდა ანგარიშით 2:1 საბჭოთა ფეხბურთელების სასარგებლოდ.

8 დეკემბერს სსრ კავშირის გუნდი ფინალურ მატჩში ოლიმპიური ჩემპიონის წოდებისათვის შეხვდება იუგოსლავიის ფეხბურთელებს.

გუშინ იყო შეჯიბრების უკანასკნელი დღე სროლაში. მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლაში გაიმარჯვა კანადელმა დ. უელტმა. მან მოაგროვა 600 ქულა 600 შესაძლებელში და დაიკავა პირველი ადგილი. ვერცხლის მედალი მოიპოვა საბჭოთა მსროლელმა ვ. ბორისოვმა — 599 ქულა.

მცირეკალიბრიანი პისტოლეტის სროლაში სილუეტებზე გაიმარჯვა რუმინელმა სპორტსმენმა ს. პეტრესკუმ. მან მოაგროვა 587 ქულა 600 შესაძლებელში და მოიპოვა ოქროს მედალი. ვერცხლის მედალი მოიპოვა საბჭოთა სპორტსმენმა ე. ჩერკასოვმა, რომელმაც მოაგროვა 585 ქულა.

შეჯიბრების მესამე წრეში კლასიკურ ჭიდაობაში საბჭოთა მოჭიდავეებმა კ. ვირუპაევმა, რ. ძნელაძემ, ვ. მანეევმა, ნ. ნიკოლაევმა და გ. კარტოზიამ გამარჯვება მოიპოვეს თავიანთ წონითს კატეგორიებში. საბჭოთა მოჭიდავეს ა. პარფიონოვს მიენიჭა გამარჯვება, რადგან მისი მეტოქე უ. ალიჩევი (ბულგარეთი) დისკვალიფიცირებული იქნა.

ოლიმპიურ აუზში გაიმართა წყალბურთელთა შეხვედრა ფინალურ ჯგუფში საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების გუნდებს შორის. საბჭოთა სპორტსმენებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1.

უნგრეთისა და გერმანიის წყალბურთელთა ასპარეზობა დამთავრდა უნგრელ სპორტსმენთა გამარჯვებით ანგარიშით 4:0.

100 მეტრზე ფინალურ გაცურვაში ზურგზე ქალთა შორის ოლიმპიური ჩემპიონის წოდება და ოქროს მედალი მოიპოვა ინგლისელმა დ. გრინჰემმა. იგი პირველ ადგილზეა ახალი ოლიმპიური რეკორდით—1 წუთი და 12,9 წამი. ფინალური გაცურვა 100 მეტრზე ბატერფლაის სტილით ქალთა შორის მოიგო ამერიკელმა სპორტსმენმა შ. მანმა ახალი ოლიმპიური რეკორდით — 1 წუთი და 11 წამი.

გაიმართა შერჩევითი გაცურვა 1.500 მეტრ დისტანციაზე ნებისმიერი სტილით ვაჟთა შორის. ამერიკელი მცურავი დ. ბრინი ფინიშთან მივიდა ახალი მსოფლიო და ოლიმპიური რეკორდით — 17 წუთი და 52,9 წამი. ამ გაცურვაში საბჭოთა სპორტსმენი გ. ანდროსოვი იყო მეხუთე, ვერ მოხვდა ფინალში და გამოაკლდა შემდგომ შეჯიბრებას.

გაიმართა აგრეთვე შერჩევითი შეჯიბრება წყალში კოშკიდან ხტომაში ვაჟთა შორის. ექვსი გადმოხტომის შემდეგ პირველი ადგილი დაიკავა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა რ. კონორმა. საბჭოთა სპორტსმენმა რ. ბრეენერმა მეხუთე ადგილი დაიკავა.

დამთავრდა შეჯიბრება საიალქნო სპორტში. სხვებზე უკეთ გამოვიდნენ შვეიცარიის იახტსმენები, რომლებმაც ორი ოქროს მედალი მოიპოვეს. თითო ოქროს მედალი მოიპოვეს დანიის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ახალი ზელანდიის იახტსმენებმა. საბჭოთა სპორტსმენებმა ამ სახეობის შეჯიბრებაში საპრიზო ადგილები ვერ დაიკავეს.

საბჭოთა სპორტსმენებმა საერთოდ მოიპოვეს 72 მედალი — 23 ოქროს, 25 ვერცხლისა და 24 ბრინჯაოსი. ამერიკის შეერთებული შტატების გუნდს აქვს 31 ოქროს, 22 ვერცხლისა და 12 ბრინჯაოს მედალი. ქულების მიხედვით საბჭოთა კავშირის გუნდი პირველ ადგილზე გამოვიდა, გაუსწრო რა ამერიკის შეერთებული შტატების სპორტსმენებს. სსრ კავშირის გუნდს აქვს 451 ქულა, ამერიკის შეერთებული შტატების გუნდს — 445,5 ქულა.

უნგრეთის მთავრობის აგრარული პროგრამის შემუშავება

ბუდაპეშტი, 4 დეკემბერი. (საკადესი). ბუდაპეშტის რადიოს ცნობით, უნგრეთის მიწათმოქმედების სამინისტროს ხელმძღვანელები სოფლის მეურნეობის სპეციალისტებთან და ეკონომისტ-აგრარიკოსებთან ერთად მონაწილეობას იღებენ მთავრობის აგრარული პროგრამის შემუშავებაში. პროგრამის პროექტი შეიცავს იმ აგრარული პოლიტიკის ყველაზე დიდმნიშვნელოვან საკითხებს, რომლის მიზანია სოფლის მეურნეობის აღმავლობა.

პროექტი, კერძოდ, ითვალისწინებს კოოპერირების, სახელმწიფო მეურნეობათა, აგრარული მეცნიერებისა და სხვ. ძირითადი საკითხების მოწესრიგებას.

უახლოეს დროში მიწათმოქმედების მინისტრი ამ პროექტს განსახილველად წარუდგენს მინისტრთა საბჭოს.

უნგრელ ლტოლვილთა ბედი ინგლისში

ლონდონი, 4 დეკემბერი. (საკადესი). პრესის ცნობების მიხედვით, უნგრეთიდან ინგლისში ჩასული ლტოლვილის ინგლისის ხელისუფალნი იყენებენ მრეწველობის ყველაზე ძნელ სამუშაოებში. შრომის ბირჟები, რომლებიც შრომის სამინისტროს გამგებლობაშია, უნგრელებს სამუშაოდ გზავნიან მაღაროებში. კერძოდ, როგორც გაზეთი „სტარი“ იუწყება, უნგრელ ლტოლვილთა ჯგუფი გაგზავნილია მიდლენდის შახტში, სადაც უკვე მუშაობს ბევრი „ადგილგადანაცვლებული პირი“, რომლებიც ინგლისში ჩავიდნენ ომისშემდგომ წლებში.

სხვა გაზეთების ცნობებით, ლანკაშირის საფეი